ალფონსო ალფონსი

ლოქსიმი
ცაცუპი ჩიგნიდან

თბილისი, 2007
„ეროვნული მწერლობა“

...ეს პოეტური კრებული – ტყუპი წიგნია, ტყუპია – იმიტომ, რომ შიგ ორი ჟანრია: – ლირიკული და საყმაწვილო ლექსები: – ერთად დაბადებულები, ერთმანეთთან შეზრდილები – ტყუპი მსხლებივით, ტყუპი ვაშლებივით, ტყუპი ბლებივით, ტყუპგულა თხილივით, ტყუპგულა კვერცხებივით, როგორც ერთ ბუდეში, მეორე ბუდე ვერ მოვლობე, ვერ მოვწანი თუ ვერ ვიშოვე და... აი, თითქოს ერთ ხეზე, თუ ერთ ტოტზე – ამ ერთ დედა-წიგნში სხედან...

ლირიკულ განყოფილებაში –

„პოეტი მაინც მარტოა...", „კოლხეთის ციცინათელები", „მუხათწყარო – ლექსის ქოხი", „შთამომავლობა",

საყმაწვილო განყოფილებაში –

„ბალი დამწიფებულა".

...70 წელო, რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

– მოგივლენ ახალ მუზას, რომ უფრო გაძლიერდე!

ავტორი

2007

საგამომცემლო საბჭო

ვაჟა ოთარაშვილი
ზურაბ თორია
ტარიელ ხარხელაური
მანანა ჩიტიშვილი
გულო კობიაშვილი
ზაზა ქინქლაძე

რედაქტორი
მანანა გორგიშვილი

მხატვარი
ელენე ვარამაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნინო აფრიამაშვილი

ISBN 978-9941-0-0152-9

ო, იმედო, შენ გამზარდე...

აგერ უკვე რამდენი ათეული წელია პოეზიის ეკლიან გზას მიუყვება პოეტი ქალბატონი ლიდა სტვილია. ეკალს კი არ თელავს, ფრთხილად, ხელით ასუფთავებს გზას, რომელზეც არა ერთ პოეტს გაუვლია და მაინც გაუკვალავია.

ბედი ხან დედინაცვალს ჰგავს, ხან ჭირვეულ ქმარს, ხან გულგრილ მოკეთეს. მერე და რა? მაინც მშვენიერია სიცოცხლე, თუნდაც ერთი მცირედი სიკეთის სხივი ჭიატობდეს. და განა აქვს სიკეთეს წონა და ზომა, თუკი მას მადლით სავსე გული ხვდება.

მადლიანია ლიდა სტვილიას გულიც და სიტყვაც. მადლიანი და სიყვარულივით უხინჯო, სიყვარულივით სადა და იმედიანი. თუ გსურთ ლიდა სტვილია გაიცნოთ, ამ ერთი ლექსის წაკითხვაც კმარა:

ძლიერ,
ძლიერ მიყვარდა
ფითრის მარცვლის მძივები,
გიშრისას რომ მომიტანდნენ,
მქონდა ამის იმედი!
დედის ჩუმად
მავთულების
ბეჭდებს თითზე ვიგებდი,
ოქროსას რომ მომიტანდნენ,
მქონდა ამის იმედი.
ბუოლის ტყავის ქამარს ვწნავდი,
ბზისას სჯობდა სინედლით,
ოქროსას რომ მომიტანდნენ,
მქონდა ამის იმედი.
მკერდზე იას,
ხან ყაყაჩოს,
ხანაც ვარდს რომ ვიბნევდი,
ოქროს ყვავილს მომიტანდნენ
მქონდა ამის იმედი.
სხვის ნაჩუქარ ფეხსაცმელში
გამხმარ თივას ვიფენდი,

ოქროს ქოშებს მომიტანდნენ,
მქონდა ამის იმედი.
მასესხებდნენ, მაჩუქებდნენ,
მორიდებით ვიღებდი,
ერთი ასად მივაგებდი
მქონდა ამის იმედი.
ო, იმედო!
შენ გამზარდე,
კარებს მზისკენ მიღებდი...
მეც სხვა გზისკენ პირს არ ვიზამ
გქონდეს ამის იმედი.
შენ მოგენდე!
შენ მოგყვები
ქვეყნის კიდითკიდემდი, –
არასდროს არ გიღალატებ
გქონდეს ამის იმედი.
მე იმედით ვარსებობ და
ვიბრძვი,
ვიღვწვი იმედით,
მისით ყველა გამარჯვების
მწვერვალებთან მივედი!

იმედი და სიკეთე, მზებუდობა და უფლის მადლი არ მოჰკლებოდეს ჩემს უფროს მეგობარს, ქალბატონ ლიდა სტვილიას.

მაყვალა გონაშვილი
მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

ნატვრა რწმენით ყვავილობს

რა ვალი ადევს მწერალს დროისა და შთამომავლობის წინაშე? ალბათ, ის, რომ თანამედროვე სინამდვილის მისეული მსოფლგანცდა მკითხველისთვის საცნაურჰყოს, სალხენ-სატკივარი სადაგი ფერითა და საღებავით წარმოგვიდგინოს, რომ ამ ტკბილ-მწარე სამყოფელოში ჩვენი ადგილი და პასუხისმგებლობა მოვიაზროთ. ნიჭიერად წარმოჩენილი სინამდვილის ფონზე ავტორის პორტრეტი იკვეთება.

ლიდა სტვილიას ლექსებს რომ კითხულობ, უპირველესად ის ნათელი გტაცებს თვალს, რომელთაც პოეტის სული უსაზრდოებია დედას „თვალებზე ხელებს რომ აფარებდა კერიის სევდას". „რომ ვერ ვშველოდი პატარა ბავშვი, მოგონებები გულს ახლა მწყვეტენ, ის ასველებდა ბარის პირს წყალში და ისე ჭრიდა გვალვიან ბელტებსო" ასეთი სასოებით მიაქვს შვილთან და შვილიშვილებთან პოეტს განცდა და გამოცდილება, რომელმაც თავის დროზე მისი ცხოვრებისეული საზრისი განაპირობა: „დედამ ყველაფერი მოითმინა – „სიქვრივე, სიცივე, არქონება. ალალმა ალალად გაგვზარდა, ქორებს ვერ დავთანხმდით გაქორებას". პაპის გარჯილობასა და გამძლეობას, ვაჟკაცობას უქებს და შვილს ეკითხება, „ვნახოთ, რომელი ტბის წყალს შეასმევ ან რა სადოქე და საქვევრე თიხას მოზელო... ლიდა სტვილია, მრავალთაგან განსხვავებით, ოპტიმისტია, სწამს სიკეთისა და ბედნიერებისა! „ფეხშიშველა გოგონები დედოფლობას ნატრობენ". ნატვრა რწმენით ყვავილობს, რწმენა კი ნდობისა და სიყვარულის მადლით. „მარწმუნებდნენ, სასახლეში მეფისწული მელოდა". თუ მეფისწულის ხატს სიმბოლურად გავიაზრებთ, ის საღვთო ნათელიც უნდა ვიგულისხმოთ, რასაც პოეზია ჰქვია. ლიდა პოეტია, გარემომცველ სამყაროზე, მამულზე შეყვარებული და თრთოლვით ადევნებს თვალს, რა ხდება ირგვლივ. „ვით არგონავტმა, მთვარემ კოლხეთის ვარსკვლავდაყრილი დალაშქრა ღამე ...რატომ მოხვედი? რატომ მოხვედი? – ალბათ, იმიტომ, წამართვა რამე!" რაღაც ფარული შიშით შეპყრობილს

ასეთი ლოცვაც დასდევდა: „ყველამ თავისი მიწისა ირგოს! ღმერთო, ჩემს მამულს დასწერე ჯვარი“.

წინამდებარე კრებულიც ორი წიგნისგან შედგება აქ პოეტის საბავშვო ლექსებიც გახლავთ წარმოდგენილი... დარწმუნებული ვარ, მკითხველი დამეთანხმება, რომ მშვენიერი ლექსებია, ჭეშმარიტი პროფესიულობითა და ნიჭიერებით აღბეჭდილი.

...პოეტ ქალზე ერთი რამ კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ. ...როგორც მწერალი და მოქალაქე თავის ვალს ღირსეულად იხდის ქვეყნის წარსულსა თუ აწმყოს, მისი მომავლის წინაშე ჩვენთვისაც და ჩვენი ბავშვებისათვის...

...სამოცდაათი წლის გადმოსახედიდან გვესმის მისი შემართული, გაბედული, გამარჯვების რწმენით აღსავსე ხმა:

...ჯერ კვლავ ახალგაზრდულად...
თეთრ-კაშკაშა ელვარეს,
მხრებზე მოვიფრიალებ
მაგ თოვლიან მწვერვალებს!“

მზია ჩხეტიანი

„პოეტი მაინც მარტოა...“

მე და ჩემი თეთრი ცხენი

მე და ჩემი თეთრი ცხენი
გამოვცილდით ეკალ-ბარდებს,
ვაჟი ვაჟსა ეუბნება:
— გოგო ძირს არ ჩამოვარდეს!
ლაგამ-ფაფარს ჩავეჭიდე,
გადმოვხედე სამეგრელოს,
ნაწნავები გადმოვღვარე,
ვინმეს ვაჟი არ ვეგონო,
მიჰქრის ჩემი თეთრი ცხენი,
მთა ჭიხვინით შეეჯახა...
ცხენზე ჯდომა არ გშვენისო? —
— არა მჯერა!
საქართველოს ასული ვარ,
მთებში ცხენით გაჭრა მიყვარს,
ხელგაშლილი მოვიჩქარი! —
ჯერ მზე გულში არ ჩამიკრავს!
მივქრით მე და ჩემი ცხენი,
მთამაც ქუდი მოიხადა!
ცხენოსანი იმას ერქვა,
ვინც ხმალს ცხენზე მოიხმარდა!...
წინ აშლილი ჭალები და
თვალუწვდენი ველებია,
ხის ტოტები ჩემს საშველად
გამოწვდილი ხელებია...
...მოვიჩქარი კოლხი ქალი
თეთრი ცხენით დაუღლელით,
ყველა გზაც რომ ჩამიკეტონ
მაინც არ ვარ ჩამმუხვლელი
ასი სერი გადავქუსლე,
კიდევ დამრჩა ასი ველი,
ჯერ სად არის მზის ამოსვლა,
მის ამოსვლას აწი ველი...
...ჭირგამოვლილ ქართვლის გზებზე
არაფერი არ მაშინებს,
თეთრი ცხენით მივუძღვები
ჩემს დასაზრდელ მამაც შვილებს.

რაღა დროის ლექსიაო...

რაღა დროის ლექსიაო,
როგორც სათიბს — მიქნევ ცელს!..
ვის?
ვის?
მეუფეს და ზემდეგს —
პოეტს, ქვეყნის კალმით მცველს!..
2004

ვაი, ნანა, წუთისოფელს მატანინებს ბელურა

...სულ საკენკის ძებნაშია, —
განა ცხოვრობს გედურად?
დღეში ასჯერ ჩამომიფრენს, —
მომიკითხავს ბელურა
დამჭიკჭიკებს ციდან, ზღვიდან,
ღობიდან და ტოტიდან...
ნათესავო, ოღონდ მოდი!
ნურაფერს ნუ მომიტანს!
მისვლა-მოსვლა ჭირს კი არა...
ვწუხვარ, უცხო ზნე გბურავს,
ვაი, ნანა, წუთისოფელს
მატანინებს ბელურა!
ვაი, ნანა, მახრჩობს, მახრჩობს
ამ ცხოვრების ზღვაური, —
მაგრამ... მაინც ვერ წამართვა
სული ნათესაური!..
2003

სტუმარო...

მოგელი და მესმის მუდამ
შენი ნაბიჯების ჩქამი!
მე ჯორკოზე ჩამოვჯდები, —
შენ — ინებე ჩემი სკამი!..
2003

მე ჩემს გზაზე ვდგავარ

მე ჩემს გზაზე ვდგავარ,
ჩემს წილ ტკივილს ვიტან...
ჩემს წილ სხივთა ჯავრს
ველი ხვალის ციდან!
ვით ბედს — ვეძებ სიტყვას,
გამძლეს, გამტანს, მთავარს
და ის წუთი მიყვარს,
როცა არვის ვგავარ!
...მე გაფრენის ცდა ვარ...
ზოგჯერ თითქოს ცა ვარ...
ზღვა მეხლება, მაგრამ
ჩემს წილ წყალში ვდგავარ...

* * *

...აიძულა ცხოვრებამ
და ხე მოჭრა მინდიამ!..
აპატია ბუნებამ, —
გონი არ დაუბნია! —
...მუდამ სახემცინარეს —
მაინც ვხედავ ღრუბლიანს
2005

* * *

...გზა-გზა ყოჩივარდები...
ია-ფურისულები...
ენძელებში — ეკლები —
ჩემი სისხლის მსმელების!...
2005

* * *

— გახსნილი გაქვთ ხელჩანთა,
ფულს დაკარგავთ თქვენ, ასე...
— ფული არ მაქვს! ლექსები
არის გადმოფრენაზე!..
2005

* * *

...გადი-გამოდის ისევ გუთანი, —
ეზოებს აცმევს ყანების ფარჩას...
...ა, იარაღი მშვიდობიანი! —
რაც სამუდამო მარჩენლად დაგვრჩა!..
2006

ღამე სიმღერით მალე თენდება

ეს, ვარსკვლავები აინთო სანთლად,
დატვირთულ ურმებს ჭრიალი შვენით...
აი, ველ-მინდვრებს რომ უვლის ცხრაფად,
ამ ბილიკებით, იხვევდა წყლულებს
მამული ჩემი!..
მიდის ურემი, შარა ილევა...
ცოტაც და მალე გავალთ ქედებთან...
და ჰა, მეურმევ, დასცხე სიმღერა,
ღამე სიმღერით მალე თენდება.

დილა ვენახში

მზე მოიწევს...
გათბა ჩვენი ტაშირი...
ახლა ნისლებს
ხე და ქარი პენტავს...
იქნებ ლერწიც სიზმარს აჰყვა ბავშვივით —
რა ატირებს ნეტავ?!

* * *

...შენ ალერსის ბურანში ხარ,
მე ეკლები წინ მივლიან...
იცით?.. ჩემი სიჩუმეც... კი —
ხმამაღალი კივილია!

2005

...თქვენ, ჩაიჭერით საქართველოსთან!..

— ხოშ-გელდი! ძმაო, მე ვარ არსენა!
— ტყეებში ისევ... კაკო!? დარიკო!?
...მაშინ... მეც თქვენთან... ჩემი ცხენ-ნაბდით!
ჩემი ლექს-ნაბდით აბა, სად ვიყო?
— კუდიგორასთან? გურიის მთებში?
— ვარდიგორასთან? ანაკლიასთან?..
თქვენ ისევ ძველი სისხლით დადიხართ, —
საქართველოს მტრებს თავს არ შეაკლავთ!!!
თქვენ, ისევ ძველი სისხლით დადიხართ! —
ორად გაყოფის კვლავაც მოსურნეთ —
თავადიშვილებს არ გახსოვთ „ჩელა"!
ხორხოც-ხორხოცით ახალმოსულებს!
გგონიათ დადგა „თქვენი ამინდი!"
გგონიათ გდია კუთხეში გლეხი?
თქვენ, ჩაიჭერით საქართველოსთან! —
ნუღა უზიხართ „მსახურად" ფერხთით!..
...რა დროს გლეხია და თავადია! —
არ დაიტეხოთ თავზე სხვა მეხი!

2006

შეიფოთლა

შეიფოთლა... და გული შლის
ფოთლებს, როგორც ფრთებს!..
...იმ იმედის იმედი მაქვს —
ფოთლებმა რომ თქვეს...
2004

* * *

...ვწერ გაყინული ხელებით ლექსებს...
ბუხრებს ჰგონიათ... მეც აღარ მცივა!..
...თორემ, ო... მზიდან თბილი სხივები
დედამიწაზე ჩემთვისაც ცვივა...
2005

ჯიხვი

დასტურ
საოცრება იყო
ჯიხვი —
მწვერვალების ღერბი!
...როგორ აგიწვდია, ჯიხვო,
შენი დალოცვილი რქები!
...რქებით — სამკაულით ძველით,
ჯიხვი ემუქრება არვის!
...შვილებ არ დამრჩაო ბევრი, —
თითქოს იმეორებ ჯავრით...
...ჰეი...
მონადირევ,
კმარა,
გვეყო
გაღებული მსხვერპლი!..
...ქედებს ამშვენებდეს მარად
ჯიხვი —
მწვერვალების ღერბი!

გაზაფხული

მომწვანობს და...
მოლორთქოობს
მოლი, — მიწის ღიმილობა;
მოგილოცავთ, ღელეებო
ღიღილობას,
გვირილობას...
მოგილოცავ, მიწავ პირის
— გაზაფხულის წვიმით ბანას,
იობას და...
ენძელობას,
კვირტობას და...
ფოთლობანას;
ლერწმობანას,
ბუდეების
შენებას და...
ბარტყობანას,
ახალ-ახალ მერცხლობანას...
ახალ-ახალ მტრედობანას.
გაზაფხულო! შენი ცვარი
ვერცხლის წვეთად ეცნოს ბალახს!
მომწვანობს და
მოლორთქოობს
მოლი, მიწის ღიმილობა?
მოგილოცავთ, ღელეებო
ღიღილობას,
გვირილობას!

* * *

...მე... არ მინდა! თქვენსას გქონდეთ
ვისაც რა ავ-კარგიც მოგდგამთ!..
არ მწამს თქვენი მოდგმის — მოდა! —
...აწი! ჩემსას ფეხს ვერ მოდგამთ!
2004

* * *

...არ ავყევი ქარობაში
და... გაფრინდა ქარი!
...ავყევი და... ერთად ვართ
მე და ჩემი ქნარი...
2005

* * *

...არა! ჩემო ცირაგე,...
...არა! ჩემო ჯიმაგე...
...სად მიდიხართ? რა მიგაქვთ!
ხურჯინში რას ილაგებთ?..
2004

* * *

...ფრინველი გალობით საღამოს
ყუჩდება ხეზე და იძინებს...
დილითაც გალობით იღვიძებს —
რომ სძლიოს ცხოვრების სიმძიმეს!..
...დაფრინავს გალობით, გალობით —
სავსეა ღვთისგან-წყალობით...
...ვუსმინე ...ვუსმინე და აჰა!..
სიდანაც ტკბილი ხმა გამოდის —
ავიღე მეც ჩემი სკამი და...
ჩიტების დიდ ტყეში გამოვდგი...
2005

ულექსოდ

მიეძინებათ ულექსოდ თვალებს,
ულექსოდ, ვარდი დაჭკნება ბაღში,
ულექსოდ, მზე არ ამოვა მალე...
ულექსოდ, მთვარე არ ჩავა ზღვაში
ულექსოდ, როგორ იცოცხლოს გულმა
ულექსოდ, როგორ შევიგრძნო სითბო?
ამიტომ დავალ ამ ქვეყნად ჩუმად
რომ იხმაურონ ლექსებმა — თვითონ

* * *

...მხოლოდ კარგი ამინდი!
...მხოლოდ კარგი ამინდი!
თორემ ...ცაო, ეგ შენი
სითბო ყველგან არ მიდის!
2004

* * *

... ია—ენძელებია
ჩემი გულის დარები! —
არასდროს არ მხვდებიან
ჩხუბით... დავიდარაბით...
მოკრძალებულს, მოკალმულს
შენ კი... რას მედავები?!
2005

რამ შემაკრთო?

ისე შევკრთი იმ წერილით,
უცაბედად შენ გიხილე ვითომ!
რად შეირხა ცაცხვის ჩრდილიც?
რად შეირხა,
ცაცხვს როგორღა ვკითხო?
სულ უბრალო სიტყვებს სწერდი,
გვკითხულობდი, როგორ ხართო?..
შიშმა? არა!
ტრფობამ? არა!
რამ შემაკრთო?

1957

ჩემთვის რაც ღმერთს მოუცია

...ჩემთვის სილაღე მოუციათ
ცხენისწყალს,
მტკვარსა და არაგვს,
მზეს — ერთი სხივი მოუცია —
შენი წასართმევი რა მაქვს?..
მშვენება დიდ ღმერთს მოუცია, —
შენი დასაწუნი რა მაქვს?...

* * *

...კაცი მზაკვარი — მძულს!
ცილისმწამებელი — მძულს!
მეუღლე-მოღალატე — მძულს!
მეძავე, მპარავი — მძულს!
...ყველა შეეჭამოს ...ყველა
ლომ-მგლების ხვადებს და ძუს!..

2005

სად არი შენი დაფნარი?

...ვხედავ, აქ ტყეა-ულრანი!
სად არი შენი დაფნარი?..
ქალი-აფთარი, მაშინ ვარ,
თუ... შემხვდა, კაცი-აფთარი...
2004

ხანდახან

...ქრის ზენა ქარი. ქრის ქვენა ქარი...
ხან ქარიშხალი! ...ხან სხვა ქარია...
ზოგჯერ მგონია, ხანდახან ჩემშიც
ერთი კი არა! — ასი ქალია!
2004

არა

რატომღაც მიყვარს ეს სიტყვა, — არა,
და თვით არ ვიცი რამ შემაყვარა...
სპექტაკლის შემდეგ
როს ნათელ ქუჩებს
მივყვები წყნარად,
ვაჟი თუ მეტყვის:
— მე გაგაცილებთ!
ვპასუხობ: — არა!
როცა ფრთას ისხამს დაირა, ტაში,
— იცეკვეთ ჩემთან, — მომმართავს ვაჟი,
მე ვამბობ: — არა!
...ჩემს მოკრძალებას ეს ერთი სიტყვა,
ეს ცივი სიტყვა შვენის ზარნიშად...
თავს გამოვუტყდე? მე ვიტყვი არას,
და ის ყოველთვის არას არ ნიშნავს...
1957

დამარცხებული - გამარჯვებული

...დამარცხებული ...გამარჯვებული,
გამარჯვებული ...დამარცხებული,
ხან ჩამქრალია, ხან ანთებული,
სხვადასხვა ჰანგზე შფოთავს, სცემს გული.
...გული ცალ ხარად, ჩემი სიცოცხლის —
ოქროს და თხმელის ულელს შებმული!
1998

შინმოუსვლელო

...შინმოუსვლელის ჭაღარა დედას
საფლავში ჩაჰყვა თვალები სველი...
შინმოუსვლელო,
ჭიშკარი, ჯოხით გადარაზული
გულხელდაკრეფილ კაცივით გელის!

მაინც გაზაფხულია

ალუბლები, ალუბლები
თეთრად დაბაბთულია...
ჩემი ტყემლის თეთრი კაბა
დედა, რა ქართულია?!.
...გაიხადე აწი ქურქი, —
ზამთარს გადაუვლია...
ჰყვავის მარტი,
კი თოვს, მაგრამ...
მაინც — გაზაფხულია.

სურათი

ოქროს წიწილებს აზის ღრუბლები —
ლეგა ფრთებიდან ვარსკვლავნი უჩანთ
და მთვარეს,
როგორც ყანაში ტაროს
დავუწყე
თეთრი ღრუბლების ფურჩვნა...

ყვავო

...სამასწლიანო ყვავო! ...ასისთვის
ერთი დღისაც კი არ ვარ მომკლები! —
რომ დამყრანტალებ: — როდის მოკვდები?
...როდის და ...მერე შენ რომ მოკვდები!..
2004

...მხოლოდ ღმერთი და ბუნება

...მხოლოდ ღმერთი და ბუნება...
...მხოლოდ ღმერთი და ბუნება...
ადამიანი? — ყოფილა
სამყაროს გადაბრუნება!

ჩემს საწერ მაგიდასთან

...ჩემს საწერ მაგიდასთან,
რვეულთან და კალამთან:
ერთი წყარო მელანი,
ია — ერთი კალათა
სტრიქონს მისდევს სტრიქონი
დამწვარ გულის ალადა,...
ერთი ლიდა სტვილია ვარ!
ნიჰილისტი — მრავლადა!..

მეორედ ყვავილობს ალუბალი...

ო... ისევ ქათქათა ყვავილები
შარშანდელ თოვლივით გაუმდნარი!..
...ზამთარი აპრილად ქცევია, —
მეორედ ყვავილობს ალუბალი!..
მეორედ ყვავილობს ალუბალი —
ამართლებს დობილი მგოსნისა...
ნეტავი, მეც მქონდეს უფლება
ო, ბავშვად მეორედ მოსვლისა...

გაზაფხულია

დარჩენილა და
ორლობეში ატირდა თოვლი.
ადიდებულა
ყვირილა და ბევრსაც იყვირებს.
გაშლილ მინდორზე
სიოსავით შრიალებს მოლი.
ტოტზე კვირტები
ბარტყებივით აღებენ პირებს,
გაზაფხულია!
და ჩიორა კვირტი ფოთლებს შლის.
შემოეცალათ
თუთის ხეებს ხავსის ბეწვები,
მიდის ზამთარი
ფეხაკრეფით, სოფლის ბოლოში
ატირდა ვაზი —
ეს, გაზაფხული იბადება გასხლულ
ლერწებში.
იცინის მზე და
სხივხვავიანს, ეტყობა, მოსწონს: —
ვაზის თეთრ ცრემლებს
გაზაფხული ხბოსავით რომ წოვს.

აკვანთან

მე შენს აკვანთან თეთრად ვათენებ
და ყოველღამე გრძელდება ასე.
შენ ჩემი გული თითქოს გაფერე,
ახლა ვარ სულ სხვა ხალისით სავსე.

იამ გაშლილმა და გასაშლელმა
შემოგაშუქა დილის ფერები...
ნანას გიმღერი, ღიღინებ შენაც,
თითქოს ბანს მაძლევ და მეშველები.

ჟღურტულობ, თითქოს ლაპარაკს ცდილობ
ღიმილი გმოსავს ვარდის და ნუშის.
ჩემო პატარავ, ჩემო უკბილოვ,
გეფერები და გიხუტებ გულში.

დე, ღამეები ვათიო თეთრად,
აკვნით კი არა, კალთით გარწიო.
გიხუტებ გულში სიცოცხლის ფეთქვას,
ჩემი გულის და სულის ნაწილო.

მუხიანის მუხის სიო

...მუხიანის მუხის სიო
დამდევს ქროლა-ქროლით, —
მინისკარტებს...
როგორც ბულბულს
ნიჰილისტი ქორი!

2004

სიყვარული რა არის და...

სიყვარული რა არის და...
პაემანზე მოცდა,
სიყვარული რა არის და...
ერთმანეთზე ლოცვა.
სიყვარული არ გეგონოთ
ღალატი და ხოცვა!
...ის კი არა, სიყვარული
ხელახლაა მოსვლა!
სიყვარული ერთმანეთის
ფერებაა მორცხვად
სიყვარული მთელ ქვეყანას
გჩუქნის, მოვა, როცა!
სიყვარული არის ერთის
გამრავლება ოცად...
...სიყვარული რა არის და...
პაემანზე მოცდა,
სიყვარული გასახარად
თვით უფალმა მოგვცა!
2003

პოეტი მაინც მარტოა

...ეს ჯიხა — წმინდა ადგილი
საჯარო და სახატოა...
დაფნები, ირგვლივ ბზაკლები,
მაგრამ...
ის ერთი... რა რტოა?!
...გარს ფარფატებენ მლოცველნი
და მაინც... მაინც რატოა?!.
...ზურგს უკან მესმის: — ხომ ხედავთ,
პოეტი... მაინც მარტოა...
2001

მაინც მოტყუვდა ყარყუმი...

(დის დანატირალი...)

...ტყეში ვარ!
— ყარყუმს რა მოკლავს?
მესმის,
ეს ხმაა მზაკვრული!
— თავისი ენა!
პასუხობს
ცხოველი ხის წვერს გაკრული, —
მონადირემაც მოაგნო...
— ა, იმ ხეზე ზის ყარყუმი! —
ულამაზესი ყარყუმი!
...ყარყუმს არ უწყის რად მოკლეს! —
ლამაზი ბეწვით ქანაობს
რტოებში
რტო თავს დასტირის:
— რა ბრალი ჰქონდა განაო?
— არაფრის! —
ჩანდა ყაშყაშით
მის ყურემარეს ყარყუმი, —
არ ჰქონდა მიდევნებული
ცუდ მეთოფისთვის თვალ-ყური!..
...ნანადირევი რტოებში
გარჩენილა და ქანაობს,...
— ხომ არ გაცოცხლდა ყარყუმი?
— რა გააცოცხლებს, ნანაო!..
— ვის მოსართავად გინდოდა,
ვინ გყავდა ამისთანაო?
— ვაი, მეთოფურს, ნანაო! —
— შენ, არ ჩაგაცვან — ყარყუმნი!..
— შენ, რა მეფე ხარ, ნანაო!..
...ულამაზესი ყარყუმი
ერთად ვიტიროთ, „ნანაო".
...და... ტყე აივსო წუხილით,
მოთქმით, ვაგლახით, ვალალით,
— ხანდახან... კაცსაც დაღუპავს
ენა კვიმატიც, ალალიც...

2006

გიტარავ, ჩემო ლამაზო მზითვო...

...ეჰ, რახანია აღარ გაუღერებ
— გიტარავ, ჩემო ლამაზო მზითვო...
დღეს, იდუმალი ხმა მესმის, თითქოს.
— იცით? სიმღერას მკვდრის სულიც
ითხოვს!
— ო, ნუ მაძალებთ დაკვრა-სიმღერა
სად გაგონილა, სად, მწუხარ ქალის?..
...მაინც აუღერდნენ, მაინც, ხმადაბლა,
ჩემი გიტარის სიმები მკრთალი...
— დაუკარ! საფრფოს სულს ეამება!
...ისე დაუკარ... მუხლი უყარონ! —
რომ ამოგძახოს: — ღმერთმა გიშველოს,
მკვდარს გააცოცხლებ, ისე უკრავო!..
1999

მიჭირს და... მაინც ჭირი ვინ გდია?

...დღეში იმდენჯერ ჩამომკრავს ხოლმე
მრთოლვარ სიმივით რაღაც სხვა სული...
რამდენჯერაც ვარ მოსული ქვეყნად
და მწამს! იმ სულთა მე ვარ ასული!
გამოუტანელ სიზმარს ჰგავს იგი, —
ვშიფრე, ვშიფრე და... მამხილმა მამცნო:
ამ ქვეყნად ოთხჯერ მოვსულვარ-კაცად,
მეხუთედ... ქალად მოვედი, კაცო!
თოვლა ქაღალდში ვარ ჩაძირული,
განა ვერთობი ძაღლით და კატით?
თქვენ, რა დები ხართ, თურმე მიძიებთ
ცხელი ყავით და გაშლილი კარტით!..
სამყაროს ჰანგზე ვიწყობ გიტარას, —
ეს, თგვენგან მოდის რაც მაწვიმ, მათოვს...
თქვენ ჩემი ბედის წამმართველ მნათობთ
გატყობთ, სიკეთეს ჩემთვის კვლავ არ
თმობთ!

...ნაოჭებს — ჩემი სულის თეთრ სხივებს,
ნაოჭებს ჩემი გულის ცხელ სიმებს
გაბმულს ჩემსა და დაფნის ტოტებში,
როცა ვაჟღერებ, ნუ დამსისინებთ!..
...ახლა, ორმაგად... კაცის და ქალის! —
მადგას უღელი, სხვა ამინდია! —
მძიმეა, სული კბილით მიჭირავს,
მიჭირს და... მაინც ჭირი ვინ გდია!
დედაკაცობა — დედაციხეა!
ციხემდე მტერმა ვეღარ მიმდია!..
აჰანდე ძმაო!.. კარგი ქალობა
კარგ კაცობაზე ასჯერ დიდია!

მუნასიბი

...ახალ-ახალ ვარსკვლავებად
ვზივარ და ძველ მთვარეს ვფშვნი...
ღრუბლებს ცეცხლი წავუკიდე
და შემოვა მალე შინ...
ნაპერწკალთა კორიანტელს
ცაზე ცეცხლის ბადედ ვშლი...
მე... ვიპოვი, რასაც ვეძებ, —
ვზივარ და ძველ მთვარეს ვფშვნი...
...თუმც მომიწევს გადალახვა
ცაში თალხ და ბნელ ზღვისა...
არ იფიქროთ მინდოდეს
პოვნა ოქროს თევზისა!
...მთვარეს ვარსკვლავებად ვფშვნი და...
ღამე უფრო გარინდდა...
მინდა ცხენიანი კაცი
— გამოვიხსნა მთვარიდან!..
...რომ გამოვა, ალბათ იტყვის:
რაღა დასამალია?
— აწი, სხვების ჩასაჯენად
დამითმია, ძამია!
აჰა, ვისაც მოგეჩვენათ
მთვარე ოქროს გალიად...

სამოცდაათი

...აი, ვარ საქართველოს
ყვავილებში ჩაფლული...
სხედან, სამოცდაათის
გაზაფხული — ზაფხული!
სხედან, სამოცდაათის
შემოდგომა — ზამთარი...
...ირგვლივ... ყვავ-ბულბულების
ჩამწარებულ-ჩამტკბარი
ჩამესმის და ჩამესმის: —
— არ გეტყობათ — სამოციც!..
...ისევ, ისევ იებს კრეფთ,
ისევ... ისე ხართ მორცხვი...
ისევ, ისე მიმინობთ, —
თქვენ... ასიც ვერ გამოგცვლით...
...ვერ ვისვენებ, პირველო
ლექსო, რაც შენ წამომცდი!..
ვზივარ „ოქროს საწმისთან"!
პწკარებს ასჯერ გამოვცრი! —
ასჯერ გადავაკეთებ, —
ასნაირად გამოვცდი...
...მაგრამ... რადგან ელვები
ისევ ირგვლივ მირბენენ,
ჯერაც ვაგებ ქარქაშში
კარზე მომდგარ სიბერეს!
...ერთი ნამგლის გალესვაც,
რომ ავიღო თავ-თავი,
ერთი ახალგაზრდობაც —
ჩანგის გასამართავი...
ჩემს ჩანგს ვარსკვლავს დავკიდებ
ასაჟღერად ქარისა!..
ხმა ექნება ო, იმ ჩანგს
ჩემი ლექსის ზარისა...
...ზარის ყოველ წკრიალზე
ღმერთო, ...ო, რა მადლია,
ფარა ჩემი ლექსების
მოვა, გულზე გადმიარს...

ო, განაგრძე ჩემს ჩანგზე
დაკვრა, როგორც უკრავდი...
ქარო, შელვიძებებით
სული ხდება-უკვდავი...
...სხედან სამოცდაათის
ენძელები ფარფაშით,
შორს სიკვდილო, —
სიცოცხლეს
ჯერ არ ვაგებთ ქარქაშში!!!

ძმობა-ერთობის დიდო კორიფეევ!..

...სწორედ რომ... სწორედ ქართველ დედისგან
შენი გაჩენა ზენამ ინება!..
...შენ რომ ქართველი არ ყოფილიყავ
ვინ შეგბედავდა ამ შერკინებას
...არ ჩაგიკრავდნენ მაინც ხელგაშლით
„ვეფხვებისა და ლომის" ტორები...
მზე დაგიბნელეს! ... თორემ... შენ... შენით
ასპარეზს მგლებს არ დაუტოვებდი!..
...შულლი და მტრობა არის ღმერთებშიც!
ჩვენთან რომ არის... ისეთი... არსად!..
გაგწირეს, მაგრამ... ვინც შენ გაგწირა —
არა! კარგი დღე არც ერთს არ ადგას!
ო, ვერ იტანენ შენს კეისრობას
მუხის ფოთლებში,.. ეს რა მუმლია?!.
დიდო ფლაგმანო!
დიდო შტურვალო
შენი ქვეყანა დანგრეულია!
დავიწყებიათ ცოდო და მადლი,
მე კი... მწამს ამ მზეს სხვა მზე ვერ შეცვლის!..
კვლავ ხარ, პრომეთე! ისევ შენ უნდა...
ოლიმპოს უნდა მოსტაცო — ცეცხლი!..
ვერ მიგაჯაჭვავს ქედებზე ზევსიც!
ძმობა-ერთობის დედო კორიფეევ!..
ქვას დაანთხია მტერმა შხამ-გესლი!
ქვას დაანთხია მტერმა შხამ-გესლი —
მინებდა სიკვდილს, მიყუჩდა, მიწვა...

იაკობის მიწას, ილია მყინვარს
მოლი მოედო დასისხლულ მიწას!..
...მიწის ქვეშეთმაც იგრძნო, რომ ზეცამ
შენი მეორედ მოსვლა ინება,
და... მოვარდნილი მსოფლიო წარღვნა
მიდის, თავის გზით მიედინება!

იმედი

ძლიერ,
ძლიერ მიყვარდა
ფითრის მარცვლის მძივები,
გიშრისას რომ მომიტანდნენ, —
მქონდა ამის იმედი!
დედის ჩუმად
მავთულების
ბეჭდებს თითზე ვიგებდი,
ოქროსას რომ მომიტანდნენ, —
მქონდა ამის იმედი.
ბეჟოლის ტყავის ქამარს ვწნავდი, —
ბზისას სჯობდა სინედლით,
ოქროსას რომ მომიტანდნენ, —
მქონდა ამის იმედი.
მკერდზე იას,
ხან ყაყაჩოს,
ხანაც ვარდს რომ ვიბნევდი,
ოქროს ყვავილს მომიტანდნენ —
მქონდა ამის იმედი.
სხვის ნაჩუქარ ფეხსაცმელში
გამხმარ თივას ვიფენდი,
ოქროს ქოშებს მომიტანდნენ, —
მქონდა ამის იმედი.
მასესხებდნენ, მაჩუქებდნენ,
მორიდებით ვიღებდი,
ერთი ასად მივაგებდი —
მქონდა ამის იმედი.
ო, იმედო!
შენ გამზარდე,
კარებს მზისკენ მიღებდი...

მეც სხვა გზისკენ პირს არ ვიზამ
გქონდეს ამის იმედი.
შენ მოგენდე!
შენ მოგყვები
ქვეყნის კიდითკიდემდი, —
არასდროს არ გიღალატებ
გქონდეს ამის იმედი.
მე იმედით ვარსებობ და
ვიბრძვი,
ვიღვწვი იმედით,
მისით ყველა გამარჯვების
მწვერვალებთან მივედი!

ყვავილი არ იცვლის კაბებს

ერთ კაბით ატარებს სიცოცხლეს, —
ყვავილი არ იცვლის კაბებს...
იმ ერთ კაბაში მოკვდება —
წაიღებს მინდვრის ჭრელ ამბებს...
სანამ მოკვდებოდეს — ვიბნევ,
ვით სილამაზის აფრებს
და დამდევს, ყვითელი პეპელა —
შუქის აბრეშუმს მაფრქვევს...
...ყვავილი, მე და პეპელა
ვგავართ კიაფა სანთლებს,
ზოგჯერ ვბრიალებთ, თითქოს და...
მზის არაფერი გვმართებს...
ერთ კაბით ატარებს სიცოცხლეს,
ყვავილი არ იცვლის კაბებს...
იმ ერთ კაბაში მოკვდება —
წაიღებს მინდვრის ჭრელ ამბებს!..

თავის ეზოში გალობს ბულბული!

...მზეა თუ მთვარე... გალობს ბულბული...
ბულბულს ეს ნიჭი ბუნებამ მისცა!
არავის ცოდვა არ ადევს კისრად —
თავის სამყოფელს გალობით იცავს!
იმიტომ გალობს შეუსვენებლივ —
გაიგონ, რომ აქ ბულბული ცხოვრობს,...
გალობს, რომ თავის საბრძანებელში
სხვამ არ აიგოს ბუდე და სორო...
...გალობს... ეს ნიჭი ბუნებამ მისცა
არავის ცოდვა არ ადევს კისრად, —
განა ომებით? ბულბული, თურმე
თავის სამყოფელს გალობით იცავს!..

უწინდებურად რაც ამამღერებს...

მზე ცას ისე სწმენდს,
როგორც გაწმინდა
დიდმა ჰერაკლემ
თავლა ავგიას...
აუშვი ღმერთო,
ჩემი მამულის
ბედი
ვითარცა
რაში, აბიჰ!
ძალი შეჰმატე
მზის ახალ რევანშს, —
იბრძვის თეთრი და
შავი მაგია!..
მზე ცას სწმენდს, ცას სწმენდს
სევდით დათალხულს,
ღრუბელი
ცოცხალ — მკვდარი აგდია!..
მოდის ია და...
მოდის ენძელა,
მაინც ყინული
დნება რა გვიან?!

წყლულებს ვიშუშებთ
მაინც რა გვიან!?
...უწინდებულად რაც ამამღერებს
ეს, ეროვნული ტკბილი ჰანგია!

გვედრეპ, ღმერთო!

...ჩვენ ვართ საქრისტიანო და...
ღმერთი არ გაგვიწყრება...
არ მოხდება!
არა!
საღვთო
ომი არ დაიწყება!..
არ მოხდება!
ღაზავათით
ცა არ გადაიწვება!..
...ომი, არ დაიწყება!..
ომი, არ დაიწყება!..
...თუმც... ლაჟვარდში ერთმანეთს
ურქენს ორი ღრუბელი! —
მაგრამ... ჩაწყნარდებიან და...
არ შედგება — დუელი!..
...არ შედგება — დუელი!..
თავის სამთვარეულო
სენს ცაც გადაიმთვარებს!
გვედრებ,
ორ ღვთაებისგან
ღმერთო, შენ დაგვიფარე!..

მოთმინების ძაფი

...მაგ ულმობელ წალდ-სასხლავით
თუთა გადაბელილა!..
ვკენკავ, თუთის შოშია ვარ! —
თუთის მადლობელი ვარ!
ვსხეპავ, აბრეშუმის ფოთოლს,
ჭუპრის მწყალობელი ვარ!
გვიმრის ცაზე გაბმულ ყვითელ
ყაჭის მწყალობელი ვარ!
ფანდურებზე გასაბმელი
აბრეშუმის ძაფია! —
ფოლადივით მაგარია! —
მოსწრებული კაფიად, —
...უწყვეტია!
თითქოს... ჩემი
მოთმინების ძაფია!

2005

ჩუმად, არ დაფრთხნენ, არ დაიყვირო...

...ვით დედა სახლის ბანზე მიღლილი
ისე მიყურებს ტყიდან ღიღილო...
— აუ, რამდენი ღიღილოები!
— ჩუმად!
არ დაფრთხნენ, არ დაიყვირო!
გთხოვთ, არ ჩამიქროთ ეგ ნათურები,
ვინმემ ქარები არ ამიხიროთ...
თოვლიან ბუჩქში ხმელ-ხმელ ფოთლებში
ღიღილოდ უნდა ენთოს ღიღილო!
— ენთე, ღიღილოვ! ცივმა სიბნელემ
თეთრი ზარები არ გაგიყინოს...
მსურს, შენი შუქით გადანათებამ
მთელი მსოფლიო გადაიყივლოს!

1992

შე უსამშობლოვ!

(ილიას)

...დალია წყალი და ფართო ტყეში
ტოტებს და ფოთლებს მიუალერსა,
ველარ ეტევა არაგვი ხევში,
ბღავის, გაჰყვირის ხმაუარესად!
ბარბაცებს მთები, ცახცახებს მოლი, —
მთებს თითქოს ცხელი შანთი დაესოთ,
გავარდა ტყვია და გაჩნდა ბოლი,
თითქოს ცას ცალი თვალი დაევსო...
ვაჰმე! მტარვალო, ეს რა გაბედე!..
შე ცოდვის შვილო! სისხლგასაშრობო...
ილია მოჰკალ?
ილია მოჰკალ?
შე, უსამშობლოვ!

ჩემს „იმიგრანტ“ ჩიტებს

...რომ იცოდეთ, რა ტყუილა
მეფერებით... მიტევთ,
მოკუნტრუშე თიკნებივით
ნუ მაჩეჩებთ ტიტებს...
ჭრელა-ჭრელა შვილიშვილებს —
ჩემს „იმიგრანტ“ ჩიტებს,
არ გაგიშვებთ სხვის ქვეყნებში,
თითებს
ტყვილა
იმტვრევთ...

2003

იმედის ჩიტი

ო, ღობე-ღობე თოვლის ქულების
თეთრი დათვები დააქვთ გრიგალებს...
ჩემს აივანზე შემოყუჟული
ჩიტი იძახის! — გამოიდარებს!

— გამოიდარებს! გამოიდარებს!..
ვუყრი ნამცეცებს, მარცვალს და ნაცარს...
ჩემს იმედის ჩიტს ჩემს აივანზე
ო, ჩემზე დიდხანს ნაცხოვრებს, ნაცადს...

— გამოიდარებს! გამოიდარებს!..
ჩიტი იძახის: — გამოიდარებს!..
და ჭრელი ფრთებით გაზაფხულივით
აივნებიდან უქშევს გრიგალებს!..

იმედის ჩიტი... ნუგეშის ჩიტი
გამოჩეკილი, გაზრდილი იმ ტყეს,
მიღვიძებს ეზოს მისი ფრთების და,
მისი ჭიკჭიკის რითმი და რიტმი!..

გამზეურება

თარინგელის ეზოსთან
სვანურ კოშკში ვზივარ:
ვამზეურებ ჭარბრარს,
თითქოს
იმის პატრონს
ველი შორი გზიდან...
ვამზეურებ ხმალ-ხანჯალს,
ქარქაშებში მძინარს...
მშვილდი...
ხმალი...
ცხუვარი...
ყველაფერი ბზინავს!

ბეწვის ხიდის ქვეშ მთვარე ბანაობს...

...ჯიკავ-ჯიკავით გამაქვს ცხოვრება,
ბეწვის ხიდზე ვარ, ხიდი ქანაობს.
ბეწვის ხიდის ქვეშ შემოსულა და.
ზაფრანის ფერი მთვარეც ბანაობს,
როგორც ლაჟვარდში — ცურავს მორევში... —
ო, მთვარევ, აქ რამ მოგიყვანაო?
ასეთ ქათქათას... შავი ცხვარივით
მოგკლავს ამდენი ტანის ბანაო...
...ბეწვის ხიდზე ვარ! ჯიკავ-ჯიკავით
გამაქვს ცხოვრება, ...ხიდი ქანაობს...
2004

თუ...წაიღებთ გჩუქნით... გატანთ...

(„ყულევიდან მომავალს ორი ფრანგი მებაღე შემხვდა, რომლებიც სპარსეთის შაჰს გამოეწერა პარიზიდან... ერთმა მებაღემ მუჭით მინა აიღო და თქვა: — პარიზში ეს მუჭა მინა 20 ფრანკი ღირს... მინა კი არა... შოკოლადია, ჰა, რა კამელიები შეიძლება ახაროს კაცმა ასეთ ნიადაგზე! აფსუსი არ არის ასეთი სიმდიდრე ისეთების ხელში იყვეს, რომელთაც არ იციან როგორ გამოიყენონ!“
კ. ბოროზდინი „სვანეთი და სამეგრელო“, 1934 წ.)

იმ პარიზში, შენ რომ გჯერა
ცა მარგალიტს ღვრის,
საქართველოს მუჭი მინა
ოცი ფრანკი ღირს! —
სხვისი არ სურს, ქართულ სულის
სიფაქიზის ღირსს!..
ჩვენს ნოყიერ მიწას ნატრობს
თავის მიწის წილ,
პარიზელი მებაღე და...
ქართველს განა წყინს?..
...აბა, ვინ გადაუდგება
სტუმრის სურვილს წინ? —

საქართველოს მუჭი მიწა
ოცი ფრანკი ღირს!..
ემსახუროს მომსვლელს, წამსვლელს
ევალება გზირს!
— ქო, პატონი! * ერთ მთა მიწას
სულ მთლიანად ვხსნი
თუ წაიღებთ, გატანთ გჩუქნით
ჰა, ჭამეთ და სვით!..

მადნიანად თქვენი იყოს, —
გრამსაც არა ვთვლი...
ო, ქართველი, ოც ფრანკს დღესაც
ჩალის ფასად თვლის!
2000.

მაკედონელს? ნაპოლეონს?

...იზნიქება საქართველო,
როგორც რკინა ცეცხლში!
არ გეგონოთ ეს ქვეყანა
ყვავილების ხელში!
...რაც მის ზურგზე ურბენია
შვლებს და ფიცხელ ომებს? ... —
მაკედონელს? ნაპოლეონს?
რომელს დარჩა, — რომელს?
...შავ ქვას მოგცემთ! რომ იძახით:
— მომე, მომე, მომეს! —
...რაც იომა, ხომ იომა!
ზარდა მომავალი! —
რამდენჯერ გადაიხადა —
გინდ ყეენის ვალიც?

* კი, ბატონო

ციცინათელა

ნაპერწკალია ტყეთა,
ყანათა,
ხან აქ ინათა,
ხან იქ ინათა,
უკუნ ღამეში
დიდხანს იბრწყინა,
არც მომაწყინა,
არც მოიწყინა.
ასე პაწიამ,
ასე ლამაზმა
ბნელი გააპო,
ღამე დალაშქრა.
შიშმა შემიპყრო,
როცა ანაზდად —
თვით ბულულებსაც გაეთამაშა.
დიდხანს იფრინა,
დიდხანს გამართო,
იხეტიალა უმისამართოდ...
ბოლოს შესძახა: — არის სირცხვილი,
ქვეყნად მოხვიდე და არ ანათო.

ჩემი საქართველო

აივნები ლურჯი,
ოდა ოდას იმზერს,
ჰგავს ღრუბელი ხურჯინს —
მთას ჰკიდია ზურგზე.
კოშკებს, ეკლესიებს
ხედავთ? მზეც კი არ სწვავს.
ზარის ყურზე ჯაჭვი —
ჰგავს თამარის ნაწნავს.
ჩემი საქართველო —
ყვავილების მოსვლა.
ჩემი საქართველო
უკვდავებით მოსავს
მევენახეს, მეხრეს,

მეხილეს და მგოსანს.
ჩემი საქართველო —
ბასრი ხმალ-ხანჯალი.
კლდეა მისი გული,
კლდეა მისი ჯანი.
ჩემი საქართველო —
ჩუქურთმა და ლექსი,
ჩემი საქართველო —
დაკორძილი ფესვი.
ჩემი საქართველო,
ჩემი მტკვარ-ენგური...
ბუოლის ფანდურები —
სიმებგაბმული...
ჩემი საქართველო, —
მერცხლის ბუდესავით
კოხტად აგებული.
არ გავიგო ოღონდ,
ქართველზე საყვედური...
და ჰა, თქვენი ცხრა და...
ჩემი ერთი გული!..

შენ სილამაზეს ურხევ მარაოს...

ექიმ-კოსმეტოლოგს ციალა გელოვანს

ადნობ...
სრეს...
ლესავ
კიდევ მრავალგზის...
მაზ-მალამოებს ჯამზე ფრთხილად ზელ...
შენ სილამაზეს ურხევ მარაოს,
რომ არ ჩაიწვას ადრე სინაზე...
ეჰა... რამდენი წელიწადია
გვმატებ იერ-შნოს და სილამაზეს,
გვიგერიებენ შენი მაზები
ნაოჭებსა და ჭორფლთა შავრაზმებს...
... და... მარტო ნელსაცხებლით კი არა...
შენი შეხვედრა სითბოდ გვედება...
შენგან გამოსულ თეთრ მანდილოსნებს

რიწის გედებიც ვერ შეედრება!
ღვთით ბოძებული ნიჭით და განძით...
თორემ
როგორ ქმნი
ახლაც,
ამ დროში
გულის დასათრობ, თვალის დასატკბობს
ვარდისფერსა და სინაზეს შროშნის!
კდემამოსილო!
მაგ ტახტრევანზე,
როცა დარდების შენთან სხდებიან,
გესალმებიან ჰოლანდიიდან
ლამაზ დედას და ლამაზ ბებიას,
...გესალმებიან... მაგრამ შენს გული,
შენს სულში მაინც დარდი დაწივის,
შენა ხარ შენი დიდი ოჯახის
და მონაგართა დედა არწივი!
... შენ, არ მიიწევ საქართველოდან,
შენ დედა თბილისს ვერ მოშორდები,
რომ არა შენი წყალობა,
ადრე
დავბერდებით და დავუშნოვდებით...
... ვით თეთრი ია, სპეტაკად ცხოვრობ,
განა დაგცდება ქარ-სუსხზე ძვირი?
ვინ გაგიბედავს, გაგიბას გზებზე
აბლაბუდები ჭორის და ცილის?
ბრძენო ასულო გელოვანების
კეთილმოწყალევ, ნათელო, ქველო...
შენი ნაშუქი ლამაზმანებით
შენ ალამაზებ მაგ საქართველოს!

ამას ჰქვია — დალვინება?

(ლეილა მესხს)

... დგახარ, როგორც გეკადრება
მუხათწყაროს აგარაკზე, —
... ჰო, ჰო, შენ რომ მორთავ ჭახჭახს
ნაპერწკლები ცვივათ ფრაზებს
ჰო, ჰო, ... ჰო, ჰო, წკიპურტ-წკიპურტ
რას მიარაკ-მიანდაზებ?

...ჰო, ჰო... რა მერდინით მტკიცავ?
ჰო, თონეც ხურს — ლავაშ-ფიცხა,
ჰაუ, ჰაუ ქორ-მიმინოს!..
ფისუნიას... ისევ... — ციცხა!

თბილისის და მუხათწყაროს
ეზოები მთვარით სავსე
გაქვს, შვილებს და შვილიშვილებს
ფერავს შენი სილამაზე!!!

... რა და მყავხარ! — იქ-აქ, აქ-იქ
რას შევება „ბრძანებ" ფიცხლად!..
შენმა მშობლიურმა ქცევამ
ეს ექსპრომტი აიტკიცა...
—ამას ჰქვია დასვენება ?
ლიდა თოხნი, რგავ, ჰკრეფ, წენავ,
შენდენი რომ ვიმოძრაო —
მეც გავხდები — ტანწერწეტა???
შორს არ მყავხარ, ახლოს მყავხარ, —
ჩემს სახლს როგორ არ დაიცავ?
...რომანისტო დედოფალო! —
არა... ის... იმპერატრიცა!

არ წაიქცე ლექსო!

(მუნასიბი)

„ცისკენ ვაგზავნით ლექსებს!“
მარიკა ბარათაშვილი

მიყლარუნობ ოქროს...
უზანგო და ტახტო!..
„ცისკენ ვგზავნით ლექსებს“ —
ჩვენ-ჩვენ „ირმის ნახტომს“!

ენძელებთან ერთად
მომაქვს ლექსთა გროვა,
ლექსთა კორიანტელს
ფიფქმა ჩამოთოვა...

შენს სალონში თბილა,
ფანჯრებს ყინვა ბროლავს,
... ჩვენთან გუნდაობა
სურს „საირმის გორას!“

არ წაიქცე ლექსო! —
არ გაბედო გორვა!..
მადლი თოვლს პოეტურს,
ო, რა თეთრად ბოლავს?
გაუმარჯოს თოვას! —
ლექსს ავიწყებ გლოვას!

.... ჩვენ ერთმანეთს განა
გუნდებს ვესვრით მარტო?
ჩვენ ცას ლექსებს ვტყორცნით —
ჩვენ-ჩვენ „ირმის ნახტომს!“

... და პოეტებს გაგვაქვს
თითო-თითო გოლი!..
... გჯერათ? ჩვენ ვგუნდაობთ
ლექსებით და თოვლით!..

ჩემო დედისერთავ!

რა ვუყოთ მერე,
რომა ხარ ერთი
ხედავ, ერთი მზე მსოფლიოს დაჰმზერს.
ერთია, მაგრამ მზე სიმარტოვემ
როდი დატოვა ამ შუა მზეზე?

... აქვს დედამიწას გამონაცადი —
ტყედ ვით იყარა ხის ერთმა ფესვმა,
როგორ გამრავლდა ერთი მარცვალი
უსაზღვრო მინდვრის მოსათეს თესლად.

ყველაფერს ერთად
ნუ მოთიბავ,
გამოარჩიე ვარდები,
ბიჭო!
გამოარჩიე ყვავილი,
ბიჭო!
ზოგი ყვავილიც
იცოდე, ჭინჭრობს, —
მთლად ყვავილების
ნიჭით ვერ ნიჭობს!
... შემოდი, ბიჭო,
კარს ვტოვებ ღრიჭოდ...

არ ჩაუვარდე
ცხოვრებას პირში,
არ შეირცხვინო
ფოცხვერის ჯიში!
სიკეთე თესე, —
არავინ გიშლის!
ბოროტი კაფე, —
არავინ გიშლის!
შენ არ გიგრძვნია
კოდიდან იჯრის
გამოცლის შიში!
როგორ მოუვლი და უპატრონებ
ქართულ სანახებს,

ქართველკაცობას,
ქართველქალობას,
ტაძრებს და კოშკებს,
სურო-ბალახებს
თამარის თბილისს
ვახტანგის თბილისს
რა დიდებას და...
სახელს ანახებ!
აბა, ჰა, ვნახოთ,
რას დასთეს, დაწერ;
რა ქანდაკებად
აღმართავ მუხას!
რა ასი ბუღას
გასაწევს გასწევ,
რა წითელ მგლისას
მაიბამ მუხლსა!

იყავი მეხრე,
იყავ ძმაკაცი,
იყავი სატრფო,
მხოლოდ სამშობლოს სიყვარულში
იყავი ანჩხლი!
დაეპატრონე გულით შენს წლებს,
შენს წილს და არჩივს...
მეჭყინტსიმინდე
არ იყო მაჩვი!..
... ბაბუაშენი შენოდენობას
საქვევრე
თიხას
ოქროსავით
მალავდა კვანჩხით..
ასმევდა მწუთხეს
საღამოობით —
ჯოგს „ტობავარჩხილს".
და ჯარგვალეში
ცეცხლს ინთებდა
კვარით და ფარჩხით...
... ახლა
შენ, ვნახოთ,
რომელ ტბის წყალს

შეასმევ მოზვრებს...
ან რა საქვევრე
და სადოქე
თიხასაც მოზელ!
... ახლა,
შენ, ვნახოთ,
რით გაიჩენ
ხელებზე კოჟრებს
როგორი კაცი წარუდგები
მარტვილს,
გრემს,
კოჯორს...
თოლიგე,
შემოუჯექი
შენი ბუხრის
ღუღუნა დაჩხირს...
დედაშვილობამ,
მასახელე, რაკიღა გაჩნდი!..

ვარსკვლავს — ჩემი სულის ციურ სრასასახლეს

(ნათქვამია: თითო ვარსკვლავი ცაზე ყველა ადამიანს აქვსო, რომელზეც სიკვდილის შემდეგ მათი სულები სახლდებიანო.)

ასე უთქვამს უფალს, —
დიდძალოვან ზენას:
— თითო-თითო ვარსკვლავი,
რომ ცაზე აქვს ყველას!
ზოგის ნათლად ღვივის,
ზოგის ბჟუტავს, ელავს...
ეხ... სიკვდილის შემდეგ,
განა, მართლა ბნელა!
რომ სიკვდილი ცელავს
მშიშრებსა და მაგრებს..

თავის ვარსკვლავს, თურმე,
ყველას სული აგნებს!
... ვარსკვლავს, — ჩემი სულის
ციურ სრასასახლეს,
იმას, იმას მაინც
ხელს ვერავინ ახლებს!
... სიმს კი არა... სხივსაც
ვერ მოტეხავ, ქარო,
ცამდე ვერ მიაღწევ,
ფრენას ტყვილა ჩქარობ!
ხედავ, როგორ ახლოს
უზის ნათელ მთვარეს! —
რომ უბერავ, ვამჩნევ
უფრო ახელს თვალებს!
ის, ბუდეა, თითქოს
დაკიდული ცაში...
მაგ ვარსკვლავზე ფრთებს და...
ზღაპრულ კარავს გავშლი!
მწამს, ასი წლის შემდეგ
მე ის განმაახლებს...
ახალ სატრფოსათვის,
ახალ თვალს გავახელ!
გამრთელდება ყველა
ბზარი მოკლულ გულზე,
გაგრძელდება სულის
მწვანე გაზაფხული!
... ვარსკვლავს — ჩემი სულის
ციურ სრასასახლეს...
იმას, იმას მაინც
ხელს ვერავინ ახლებს!

კვლავ და კვლავ ამწვანება

ჩემი ბედის ვარსკვლავის
გულზე ხელის წავლება,
სიკვდილამდე გაგყვება, —
სიკვდილამდე წვალებად!

მე.. კი... მწარე ბედიდან
თავი გამომიხსნია!
დაფარული მიზეზი
ყველა ამომიხსნია!

ცილისფერი
წკმუტუნა
შედგა ცილისწამება!..
... მზის სხივები ლარნაკში
არ მწამს,
არც მეწამება!
... გულის არგაწყალება,
თვალის არგაწყალება,
მელნის არგაწყალება,
წყაროს არდაწყნარება.

ისევ გაზაფხულდები:
კვლავ
და
კვლავ ამწვანდება,
დარჩენილი სიცოცხლის,
ღმერთო,
არჩამწარება!
— ხე, რომელზედაც ჩიტი ჯდება! —
— აჰ.. ჰოდა... ამ ხის რტო მოგართვა
მინდა,
ვით საჩუქარი რაიმე წმინდა,
ან მოწყვეტილი ყვავილი მინდვრად,
არ გაიოცოთ, ვარდების პატრონს,
თუ რატომ გიძღვნით რტოს ეკლის ხიდან...

მე ჩამოგართვი მოძღვნილი რტო და...
ეკალ-წიწვება რტო თვითონ თრთოდა...
ჩემს თეთრ ლარნაკში ის რტო დევს
ახლაც,
ჩვენებურ წაბლის ქუცუცოს ფერის,
მას თქვენი გულის სიკეთე ახლავს, —
ზედ ჩემი ლექსი ჩიტივით მღერის!

მიტოვებული წისქვილი მდინარე როშკაზე

მეწისქვილევ,
ჰაუ, სად ხარ?
წისქვილის კარს
რად არ აღებ,
რა მწუხარედ არხევს სიო
აბლაბუდის ბაირაღებს
ჰეი, ღვთისოვ,
ღვთისკაცობა
ამ ხევებში
ვინ იკისროს? —
თუ ახალმა
ღვთისო ბიჭმა
არ შესცვალა
ძველი ღვთისო!
ჰეი, ღვთისო!

შენს ძველ წისქვილს
გარღვევია
წკნელის წნული.
უწისქვილოდ
ამ ხეობას
თითქოს აღარ უცემს გული!
ჰეი, ღვთისოვ,
სტუმარი ვარ,
როშკას მოველ
სტუმრად, ღვთისოვ!

უწისქვილოდ
ამ ხევებში
წყალმა
როგორ იკისკისოს!
მეწისქვილევ,
ჰაუ, სად ხარ,
რად არ აღებ ნეტა კარებს?
... რა მწუხარედ არხევს სიო
აბლაბუდის ბაირაღებს?

ღამით შატილში

გვენთო შატილში ცეცხლი მაღალი,
რცხილის და წიფლის შეშა იწვოდა...
ხელში გვეჭირა ვის რა ფარ-ხმალი,
ან ვინ ვესტუმრეთ, მან არ იცოდა.

იდგა შატილი, ტანჯვამოვლილი,
მისთა წინაპართ უკვდავ სულებით...
ხავსის ჭაღარით ჩამოთოვლილი, —
უნდოდ გვიმზერდნენ სათოფურები.

ჩვენი სიმღერა მისწვდა ქარაფებს,
გაჰყვა არღუნს და კლდეებს საორბეს...
მანდ ეშმაკები კუდით დააბეს —
ლებაის კართან აღარ დაობენ.

შემდეგ სიჩუმე კვარში იწვოდა,
სიზმრები რას არ მიედ-მოედვნენ...
მაგრამ ეჭვადაც არვინ იცოდა,
როგორ გვესტუმრა დათვი პოეტებს.

სხვა არის მუზა, მუზა პოეტის,
მუზა — პოეტის — ცეცხლის ბრალია...
მხეცს და გარეწარს ცეცხლი ყოველთვის
ცხრა მთის გადაღმა ჰკარგავს ტიალად.

არ მიგვისწრია პანტის ხის ძირას,
არც მიგვიხლია თოფი გუგუნით,
ერთი პოეტის გამოლვიძილზე
დათვი გაიქცა ძუნძულ-ძუნძულით...

... გვენთო შატილში ცეცხლი მაღალი,
რცხილის და მუხის შეშა იწვოდა...
ხელში გვეჭირა ვის რა ფარ-ხმალი,
ან ვის ვესტუმრეთ, მან არ იცოდა.

ცუდად გიჭირავს ადლი...

... უეკლოდ არ მომიკრიფავს,
არა, მაისის ვარდი...
გულზე ცეცხლმოკიდებული
დავდნი...
... შემოგალიე ძალ-ღონე
და პოეზიის მადლი!..
... აქ, ჩემი მადლი არ მადლობს, —
ცუდად გიჭირავს ადლი!..
ჰგონიათ
მაყრი სიკეთეს,
მჭამს შენი ეკალ-ბარდი!

თანდაყოლილი სასჯელი...

... ვმშვიდდები ბუნების ყურებით...
... ვმშვიდდები ფრინველთა მოსმენით...
სიცოცხლევ!
ეს თანდაყოლილი
სასჯელი! — სიკვდილი მომხსენი!
2004 წ.

თათი, ღრუბელო! — თათი...

.. მერე, რა... ვხდები სამოცდაათის, —
თათი, ღრუბელო!.. ღრუბელო — თათი!..
ნუ, მეფერები, თათი!.. ხომ ხედავ
შენს სამოცდაათს არაფრად არ ვთვლი!..
2005 წ.

იცოდე

... რა არ განახე: —
გელათი, გრემი,
მერე გატარე სვანეთში, ფშავში...
აღვა აღარ გაკლდა — ნავი და გემი,
ტყეში,
ჭალაში,
ნავარდი ფშენში...
ახ, ნეტავ იმ დროს,
დამჯერე მყავდი
თუთაჭამია, რომ გერქვა „შაშვი!"
შვილო!..
უშენოდ რა მაჭმევს იჯრას,
მოდი,
დიდი ხნით არსად არ დარჩე,
არ ჩარჩეთ გულში რაიმე ხინჯად,
... შენ მტერ-მოყვარეს ჯერაც ვერ არჩევ!..
ჩემი ოჯახის რქავ სამამულევ,
შემოყრა იცის ალმა მალულად...
... იცოდე, შვილო,
შურით და ჭორით
შენზე დიდებიც კი ვაალულა!..

სიმართლის ჯაჭვი მაცვია

...ქართველობას არ მაცლიან...
ქართველობას არ მაცლიან...
სულის მოთქმას არ მაცლიან...
ჯანს უმოწყალოდ მაცლიან..
თავს მადგას რკალი ნათელი...
სიმართლის ჯაჭვი მაცვია!..
მართლის გზა მიძღვის-ღვთიური,
არ დამიგმია ურია!..
... მიყრუებულა ქვეყანა
ვის ცივა, შია-სწყურია!..
ჩემი სიმართლის სიმართლით,
მიამიტობით ნრფელობით
ვარ იალბუზის სიმაღლე
აყვავებულა ველობი!
ვარ, ხმალი ამოღებული,
ვარ, თვალი პატიოსანი
გავდივარ ჯოჯოხეთიდან
იმედნეული მოსავი!..
ჭიდილში, ბნელთან ჭიდილში,
დილა მტრედისფრად გათენდა...
შენი სინათლე ვერ მოვა
ჩემი სიმართლის ნათელთან...
ჩემს ტურფა საქართველოში,
გთხოვთ, ქართველობა გვაცალოთ,
ვინც არ ხართ მოყვრად მოსული —
გთხოვთ, საქართველო დაცალოთ...

მუზა

... მუზა ღვთის სანთელია, —
ანთებული ლოცვა... —
ნეტავ — ვინ, ვინ, ვინ, ვინ?.. და...
... მგონი, ღმერთმა მომცა..

2005 წ.

მიიმღერის მეგრელი!.. მიიმღერის გურული!..

მიიმღერის მეგრელი!
მიიმღერის გურული!
ერთნაირად დადიან
ნაბადწამოხურული!

... რა კარგია! მათ გვერდით
ჩახუტებულ-ჩაკრული,
საქართველო რომ დადგეს
ტკბილ-ქართული ჩანგურით.
2003 წ.

გადავამტვრევ ამ კეტს საქართველოს სევდას!

... ქარი უკრავს ფოთლებზე
დარდს არ აჰყვა ქარი!..
გლოცავ, ოპტიმისტი ხარ
ქარო, ჩემი ქნარის!..
ახლა უფრო მჭირდება
ოპტიმიზმი მეტი!
სევდა რომ არ მეკვეთოს —
მართლა ვდგავარ კეტით!..
გადავამტვრევ ამ კეტს
საქართველოს სევდას! —
არ ვაჟღერებ იმ ხმით,
აქამდე რომ ჟღერდა!..
2003 წ.

***

... ეს, არც ერთ ერს! ეს, არც ერთ ერს
მოგონილი არ ეგონოს!
ერთი უტუ
ამშვიდებდა სამეგრელოს!..
2004 წ.

***

მე მიყვარს ღამით ურმის ჭრიალი,
როცა დატვირთულს თივით და ჩალით...
ღია დახვდება ფართო ჭიშკარი...
როს დაღლილ ხარებს სწყურიათ წყალი,
და აპეურის შეხსნას იჩქარი...
— ბებოს, გამოსულს მინდორზე ჭრაქით...
ბაბუ რომ ეტყვის: — აქითო, აქით.

***

როგორც წკნელი ისე მოჭრა
კაცის სისხლით უძღები
ეკლიანი გარბილის ხე!..
ან წალდს კიდევ უწყრები?

2004 წ.

გსურს თუ არ გსურს — მაისია!

... გსურს თუ... არ გსურს — მაისია?
მილოცვები მაინც ჰქრიან...
ჩვენც,
მაისის
წითელ
ვარდებს
ცეცხლი აღარ ჩაუქრიათ.

ღვთის ჩიტი ამბობს

— კარგი — ავსა,
— კარგი — ავსა,
— კარგი — ავსა,
— კარგი — ავსა!
—რას იძახი
ჩიტო?
კარგი ავსა კი არა და...
უნდა მითხრა
— კარგი — კარგსა!..
ღვთის ჩიტი კვლავ აჭიკჭიკდა:
— ასში ერთიც
კარგი კარგსა!
... ყველა კარგი კარგს რომ ვარგო
ვინ აცხოვრებს მაშინ ავსა?

კოლხეთის ციცინათელები

ცხენისწყალი ზღვაში

ფასის მთიდან ჩამოსული
ქუხს, ბორგავს, ვერ ისვენებს, —
...ცხენისწყალი — ცხენისწყლობას
ზღვაშიც ასჯერ იხსენებს!..
2004

მარტვილის მონასტრის ეზოში... მარადიული შეყოვნება

...მარტვილის მონასტრის ეზოში, —
ჩემთა წინაპართა ჩეროში!..
...ცხენისწყლის, ენგურის შეყოლებით
ძველებურ ჩემს საგამდელოში,
...ეგრისში! არ გაუთათრებელ
ჩემს ნამდვილ საქართველოში!
აქ, აქ... მომიძღვა ქუჯის და
დიდი ჭყონდიდელის შეგონება...
...მარტვილის მონასტრის ეზოში
მარადიული შეყოვნება!
მარტვილის მონასტრის გადაღმა
თავი სხვის ეზოში მეგონება!
2004

რომ არ დამახრჩოს ცრემლებმა

...რომ არ დამახრჩოს ცრემლებმა
მომსკდარმა ტეხურ-ენგურად...
ო, გულში, გულში... ჩემს გულში
ვმღერი ჩუმად და მეგრულად!
2003

ნაპოლეონის ნიღაბი ზუგდიდის მუზეუმში

პრინცს მიურატის ძვირფასო მზითვო —
რატომ არ უნდა მიკვირდეს ვითომ?
კოლხეთს ჰკიდიხარ ლურსმანის ქიმზე
ზოგისთვის რისხვად,
ზოგისთვის დიდ მზედ...
სიტყვა ცეცხლივით შეგაშრა პირზე...
შეგავლე თვალი და გავიოცე...
რომ ცოცხალივით თამამად მიმზერს
ნიღაბი — შენი ხმელი სიცოცხლე!

ქუქითის ეკალ-ბარდს...

გაფოთლილხართ ისე, თითქოს
გესხათ ჟოლო,
მარწყვი,
არ მშორდება ბავშვობაში
თქვენი განაკაწრი—
დახვევიხართ ციცქნა რქებზე
რტოებს რცხილის,
ცაცხვის...
ლებარდედან გადმოცვენილ
ჭინკებს ხუნწში ვარცხნით, —
...თითქოს ეკლებს ჩემს ბავშვობას
მუჭა — მუჭა აცლით...

* * *

...არა, არ მავიწყდება...
ეს ზღვა ისევ ირწევა...
ჩამავალ მზით ცის კიდე
ჩალასავით იწვება...
ათასფერი კენჭები
ყრია სანაპიროზე...
მზე ჰკიდია წვეთობით
წვრილ ყუნწებზე მიმოზებს

მაშინ

...მაშინ ჭინჭარიც
არ რჩებოდა
მჭადს და ყველს ვალში...
გვზრდიდა ხილფაფა
მსხლისა და ვაშლის...
წყაროს წყალობა,
გალობა შაშვის
და ჩავცქეროდი
დედა-ენას
მუხლებზე გაშლილს.

აფხაზეთს რა დამავიწყებს

გამარჯობა ამ მთას, იმ მთას,
გამარჯობა ამ მთას, იმ მთას,
სტუმარივით ნუ მიმილებთ,
აქ სიმღერა ბევრი მითქვამს.
მე აქ ბევრ დარს დავსწრებივარ,
შუადღეს და დილას სისხამს...
აფხაზეთს რა დამავიწყებს,
ჩალიბაშის წყალი მისვამს!

აფხაზეთო, აფხაზეთო,
მზიანეთო, ზღვიანეთო...
გახსოვთ? თქვენთან კერა მქონდა,
პაწაწინა ცეცხლი მენთო.
კარგი იყო ის დრო, როცა
მიმღეროდნენ ასეთ ლექსსა:
— ბუდეში რა გააჩერებს,
ჩიტი უნდა გაფრინდესა.
ეჰ, გაფრინდნენ მართლაც წლები,
და ის ტრფობა ჩუმი, მწველი;
დარჩა მხოლოდ ცისარტყელა —
ჩემი აკვნის გადამრწევი.
მაგონდებით, პალმებო და

კვიპარისნო ცადაჭრილნო,
ყვითელ-მძივა მიმოზებო,
აფხაზეთის ლილო-ჭრილოვ...
მაგონდებით, ძეწნის ხენო,
უსურვაზო, ბზავ და სუროვ...
ჩემი ლექსის სათავევ და
სიყმანვილის დასასრულო.

ბალდა — ჩემი დედულეთი

აწვიმთ ბზაკლებს, აწვიმთ —
წყალს დალევენ ალბათ...
ქარი ყვება ამბავს, —
უსმენს ჩემი ბალდა!..
...ჩემს ბალდაში ერთხელ
მაინც ამიყვანა...
— ხუტოლი-ხუტოლი თქვენთანა მაქვს
პოეზიის ყანა...
...რად მღერიან ყვავილები?
დებია და მგვანან...
— ხუტოლი... ხუტოლი თქვენთან მიძევს
პოეზიის ყანა...
...დღეს თუ არა ...ხვალ მოვაო: —
კამათობენ ბელურები...
ბალდა! — ჩემი დედულეთი,
როგორც მწყემსებს თბილი ქოხი, —
მთებში ისე მეგულები...

მამის ძეგლი...

...პატარა ეზო, თეთრი ფიცრული,
ეზოში მოლის მოლურჯო ფარჩა,
ვაზის ლერწები სარზე მიკრული
მამაჩემს ძეგლად აი, ეს დარჩა.

მე მახსოვს მხოლოდ დედის ალერსი,
...და მაშფოთებდა სულ უნებურად, —

ცრემლს რომ ვამჩნევდი დედის თვალებში,
როცა უმზერდა მამიკოს სურათს!

მეც დამისველდა ცრემლებით ლოყა,
დედა რომ ვნახე შავებჩაცმული...
მამავ, მე შენი გული გამომყვა,
ვაჟად ჩასთვალე შენი ასულიც...

შენზე ფიქრებში დამათენდება,
მშვიდობის მტრედებს ვყავარ დარაჯად,
...მე... ვიზრდები და... კიდეც მთელდება
ტყვიით დახრული შენი ფანჯარა!
1953

ეს, ყვავილი — ციცინოა, დედა!

ცხარე ცრემლი თავს უბეში მიყოფს...
...ჩემი დედა, გაზაფხული იყო!
...ჩემი დედა, გაზაფხული იყო!
დედასავით სითბოს ვინ გამიყოფს?
დედამიწას მიემატა დედა,
მეჩვენება? მეჩვენება? ვითომ?
თითქოს ცერზე შედგა დედამიწა,
დედამიწამ აიწია, თითქოს,...
და აუნთო ცამ ვარსკვლავიც, დედას...
ძირსაც ...უცხო... სხვა ყვავილიც გაჩნდა...
ეს, ყვავილი-ციცინოა, დედა!
ამ ყვავილად შენი სული დამრჩა!..
...რა ფერის და... თეთრი... თეთრი... თეთრი, —
ქათქათაა... შემართული წყნარი...
შავი ფერი არ უყვარდა დედას,
— შავი ფერი! ცეცხლის დასაწვავი!
...მახსოვს, ერთხელ... ასეც მიაყოლა.
— შავი ფერით ქვეყნად ნურვინ მოვა
შავი ფერით, ხალხს მოსავსო — ომი!
შავი ფერით, ქალს მოსავსო — გლოვა!
...დედასავით ვინ გამიყოფს სითბოს?...
დედასავით ვინ გამიშლის ფარჩას?..

ბიძაშვილებთან ისევ და... ისევ!..

(იოსებ და პაშა სტვილიებს)

თეთრი იები ისევ თეთრია,
ლურჯი იები ისევ ლურჯია,
რტო დათოვლილი დაუფერთხია
ვარდს და...
კოკორი გაუფურჩქნია!
შენი ნათქვამი „ქაჯის ამბებით“
ახლაც ბავშვივით მე ვარ გართული,
ჯადოსნურ ზღაპრის სკივრის გამღები
ვარსკვლავებს კრეფავს შენი ქართული.
თავს დასტრიალებს ხუნწს და მის ყანებს,
ხნულში „გუთნური“ ღვივის ნებისად,
ყველას ეზოში ამოიყვანე
კამკამა წყალი უკვდავებისა!
კავის ქუსლს ახლა შენებრ ვინ გათლის,
სოფელს ურემი ვინ გაუკეთოს.
ციცინათელა სული გინათის.
მაგრამ უკვე თოვს.
მაგრამ უკვე თოვს...
დასაკოცნი და... მოსაფერები
ხშირად ჩვენთვისაც კი გარუჯვია
პაშა ბიცოლას თეთრი ხელები.
მჭადს რომ გვიცხობდა თოთხმეტ უჯრიანს.
აბა, არ გვახსოვს?
ორი ობოლი
გწამდათ
ვიყავით თქვენი ობლებიც!..
მანამ გვეხურა თქვენი გოდორი,
ხუნწს არ გაშორდნენ ვიდრე ორბები!
...ქუქითზე ახლაც
იმგვარად ბარდნის,

ჩემი ბავშვობაც კვლავ თქვენთან დარბის.
ჩვენი ერთგული ბიძაშვილობა
სულის შემძვრელი,
გულის შემძვრელი.
სიყვარული და გულგაშლილობა,
იყოს მარადი.
იყოს დღეგრძელი!..
...თეთრი იები ისევ თეთრია.
ლურჯი იები ისევ ლურჯია.
რტო დათოვლილი დაუფერთხია
ვარდს და...
კოკორი გაუფურჩქნია!

დიდო მარტვილო — ჩემო მეუფევ!

დაგფარფატებენ კოლხი ცირები,
ნათელი მოსავს იელს — შენს მნათეს
და აყვავებულ აკაციებში
ბულბული ღამეს გალობით ათევს...
რამხელა მთვარე დაჰნათის მარტვილს!...
ამხელა მთვარე არ უნდა ჩაქრეს!...
რამხელა დარდი ჰკიდიათ ამ მთებს?
ეს დარდი უნდა ჩამოწყდეს ამ ფრთებს!
სხვა სიყვარული რის დავიჩემო,
შენს ულელში ვარ ჩელად შებმული...
ორივ ჩვენია: ზღვაც და ...ენგურიც!
შენი კედლის ვარ ფრესკა — ერთგული!
ბანის მიმცემი „გუთნის დედურის!"
ვყვები და ვყვები კოლხურ არაკებს, —
მთელ საქართველოს რომ ავარაყებს!..
მშობლიურ კუთხეს თუკი არგაყევ,
როგორ გავუწევ დობას არგველებს?!
...მიცოცხლოს შენი გული — დედური! —
განგების ენით მოლაპარაკე!...
მიცოცხლოს შენი გული მხედრული —
გმირობის ენით მოლაპარაკე!..
მიცოცხლოს შენი გული მეფური
სიბრძნის სინათლეს რომ არ მომაკლებს!..

მიცოცხლოს შენი ჰანგი ხმატკბილი,
ნოქალაქევი, გელათი, ხვამლი...
„მცხეთის ჯვრის“ ტოლი ჩემი მარტვილი
მიცოცხლოს, ამინ!
მიცოცხლოს, ამინ!
მიცოცხლოს: უტუ, კოჩა, მართალი,
აჩრდილი ცოტნე დადიანესა,
ფეხზე წამოდგნენ მურზაყანები,
სალხინომ ქორი ცერზე დაისვა...
„ხან „მარტვილობა“, ხან „მამლუკობა“,
შენმა თაღებმა რას არ გაუძლეს!..
გულში უნთია ახლაც უქრობი
ფიქრი, მამულზე ნაბრძოლ მაუზერს!
შენ გაგიმარჯოს მარტვილო, ჩემო!
ისეთი... არსად... ბზაკლების ჩეროვ
მოსაჩრდილებლად აქ რომ მეგულვით!..
ისე ვერავინ, საწუთრომ სოფლის
ცოდვა და მადლი აქ რომ განსაჯონ...
არ აღრეულხარ ჯიშით და მოდგმით,
არც განგდგომია: „რუხი“, „სათანჯო!“
შენ შეგედრება განა სხვა ტილო?
ჭყონდიდის ზეცა მარჯნის ფერით მწიფს...
შენ გაგიმარჯოს, ქუჯის მარტვილო
შენი აბაშა — ტეხურ — ცხენისწყლით!..
შენ გაგიმარჯოს, ჩემო მარტვილო,
მზემდე აწვდილი ჯვრით და გუმბათით,
შენი ფართო გზით, შენი გზაწვრილით,
„ვარაიდათ“ და „აბა, ულათი!“
შენ გაგიმარჯოს იმ გულის ცეცხლით,
დასაწვავად რომ ყურანს შეუნთე...
მოუსყიდველო ხონთქარის ვერცხლით,
დიდო მარტვილო — ჩემო მეუფევ.

* * *

...რამდენი მეფე ჰყავდა ამ მთა-ბარს! —
იმდენნარი ყოფის სტილია!..
სტვილია... სხვა და სხვა გვარად, არა! —
გამრავლებულა მუდამ — სტვილიად!
...ვინ არ?
ამ მიწამ... თქვენც მოგილიათ!
უთქვენოდ კერა მაინც თბილია!
იბადებიან! — არვის გეგონოთ
ლიდა სტვილიას დღე დათვლილია!
ლიდა სტვილია?
ლიდა სტვილია
კაჟი ქვისაგან გამოთლილია!

2006

ჩემი ასაბია

რქებით მომებღაუჭა
ვაზი ასაბმელი!...
ეკლით მომებღაუჭა
ვარდი დასარგველი...
აღიმართა
აღმართი
ჩემი ასარბენი...
იცით?
არაფერი მწამს
თვალის ასაბმელი!...
..... —
მეჩაიე ქალთა
ტკბილი ანსამბლია —
...მეფერება ხუნწი —
ჩემი ასაბია:

* * *

...ყოველ შემოდგომაზე
ხეს ეცვლება გუნება
და ხუნდება,
ახალი
ფერის დასაბრუნებლად...
2003

ეპიტაფია
(100 წლისთავის...)

ჩემი წუთისოფლის ბოლო
აქ დამთავრდა, აქ არის!
წვიმა მიტირის, დარი დამმღერს...
დავამთავრე საქნარი!..
დამჩურჩულებს კვიპარისი,
შორს არ არის არც თელა!..
დამფარფატებს ღვთიურ ცეცხლის
შუქის ციცინათელა...
...ეს ნათელიც თქვენთვის მინდა —
ბნელზე გადასაფენად!!!
...ყღერს ღრუბლებში ჰანგი! ელვა
ჩემი ჩანგის სიმია!..
ჩემს იელნარ პოეზიას
მოფოთლილს და სირმიანს
მოჭახჭახე შაშვისა და...
ველურ დაფნის სტილი აქვს...
...მას შენ გწირავ, საქართველოვ,
შენი ლიდა სტვილია!
1998

თბილისამდე... ტატომდე...

მხედრებს უძღვის დედოფალი, —
თითქოს მზეა მარტოდენ...
ფეხშიშველა გოგონები
დედოფლობას ნატრობენ.
ის ირწევა უნაგირზე, —
თითქოს მზეა ბარჩხალა,
უკან დარჩა წარსული და...
წარსულიდან დარჩა რა?
ფიქრით სწვდება დედოფალი
თბილისამდე,
ტატომდე,
ფეხშიშველა გოგონები
დედოფლობას ნატრობენ!
ზოგჯერ ამღვრევს დარდი
თვალებს,
დარდი დაუფარავი,
მისი ქოში ყველამ ნახა,
მისი დარდი არავინ!...
ქუდს უხდიან მოწიწებით...
— რა კალამმა დახატა?
მაგრამ დარდებს,
გულის დარდებს,
ვინმე დაინახავდა?
ისლის ქოხმა
შებოლილი
თვალი ამოიწმინდა:
— დედოფალო,
სატკივარი
რომ გამიგო ის მინდა!
სადაც კვნესის ჩონგური და
თითქოს ზეცაც განაზდა,
დედოფალმა ლურჯა ცხენი
დააყოვნა ანაზდად...
მზეც აყოვნებს ალბათ, როცა
სალხინოზე გაივლის,
ლამაზია აქაური
სიმღერა და ყვავილი.

...მხედრებს უძღვის
დედოფალი, —
თითქოს მზეა მარტოდენ...
ფეხშიშველა გოგონები
დედოფლობაა ნატრობენ...

დედა

რომ ვერ ვშველოდი
პატარა ბავშვი,
მოგონებები
გულს ახლა მწყვეტენ...
ის ასველებდა
ბარის პირს წყალში
და ისე ჭრიდა
გვალვიან ბელტებს;
ადრე ალბობდა
დასათეს მარცვალს, —
ავდარს თვალებში
აყრიდა ნაცარს...
დაიბერტყავდა
მთესველი კალთას...
თითქოს უთქვამდა —
ასსა და ათასს.
თხრიდა მყრალ ბალახს
ძირ-ფესვიანად...
არ აკლდა ეზოს
სურნელი პიტნის...
და ჩვენს ეზოში
უცხო კი არა...
ვერ გადისტვენდა
მამალი ჩიტიც!
ქარს რად უნდოდა
გაღება კარის,
ჩამოდიოდა
როცა ჭერიდან...
მიმალულიყო

კუთხეში კვარი,
რომ არ გაცლოდა
ხელი ხელიდან...
ხელს მოვითბობდი
ფეხზე მციოდა,
ფეხს მოვითბობდი —
ციოდათ ხელებს...
წვიმდა და წვიმდა
და ჩვენი ცოდვით
აღარ ეძინა
მახლობელ ღელეს.
ცეცხლის შელოცვა
უსწავლებია
დედაჩემისთვის
ბაბუა თომას:
„დედიბი კერიას,
ბადიდი გოლას,
ჩქიმი დაჩხარი
ოსე გითონას“.*
ახვევდა დედა
ღადარის ცხელ გულს...
თუ მზრდიდა, მე ის
ღადარი მზრდიდა...
დილამდე, თავზე
კეცწაფარებულს,
ეძინა ცეცხლსაც
კაცივით მშვიდად.
...დილით, კვლავ ფრთხილად,
გაშლიდა ღველფს და...
ჯირკვს მოუდებდა
ხმელს და ფუღუროს...
— უნდა იხაროს, —
იტყოდა დედა, —
კაცმა გულით და
ცეცხლმა უგულოდ!...
თბებოდა გული
და სანთელივით
იწვოდა შეშაც,

* „ბებია კერასთან, ბაბუა მთაში, ჩემმა ცეცხლმა დილამდე გასტანოს“.

ნედლი და სველი,
ხმებოდა სხვენზე
დაკიდებული
კვახის ფოთოლის
სიფართე ყველი.
...ომიდან ვინმე
რომ მოსულიყო,
მიგვიწვდებოდა —
ბავშვებსაც ხელი.
„რქენიას"
სულ მე
ვუკრეფდი ფოთოლს...
მას მოტეხილი
ჰქონდა ცალი რქა.
მირქენდა, როცა
ხბო ჰყავდა თოთო
და ეს სახელიც
მიტომ დაირქვა.
მარტო დარჩენილს
შუაღამემდე,
არ მეშინოდა
ჭინკის დაცინვის,
ვუყურებდი და...
რომ მიყურებდა,
მაიმედებდა
ძროხა კაცივით...
რა დამავიწყებს
ბავშვობის სევდას! —
როს მეშინოდა
ლუკმის აღების
„რქენიას" ბევრ რძეს
წველიდა დედა
და იზრდებოდნენ
სოფლის ბალღებიც...
იყვნენ ბავშვები,
კარგადაც ეცვათ,
ზოგისთვის თითქოს
ციდან ცვიოდა,
ჩვენ კი...
მოთმენით

ვიჯექით ცეცხლთან,
ჩვენ არც „გვშიოდა“
და არც „გვციოდა“.
როდესაც დედა
მიჰყავდა ფიქრებს,
ვეყუჟებოდით
კალთაში ტყუპად...
ხან ვაჟს ჰკოცნიდა —
სახლის საძირკველს...
ხან მე მკოცნიდა —
„სხვის ნაცარ-ტუტას“.
ომი იყო და...
თვალებზე ხელებს,
ის აფარებდა
კერიის სევდას...
ციხე-სიმაგრედ
აქცია ფაცხა,
არ ეშინოდა
არაფრის დედას...
სხვა რომ კეტავდა, —
ის კარს აღებდა:
თვალს ვერ ტაცებდა
ძილი გადაღლილს...
ერთი „არიქას“
რომ შესძახებდა,
ჩვენს ქურდს მისდევდა
მეზობლის ძაღლიც!
შეწითლებულა
ცის ძირი ოდნავ,
ტაბაკელასთან
ცხენისწყლის ზევით...
ამაღლებულა
პატარა ოდა —
სულ მაღლა მზერით...
ჰქრის ზენა ქარი
ცივი, ხან თბილი,
რაღაცას ეძებს,
ვიღაცას ეძებს...
და...

მოუღწეველ
ბარათებივით,
ეჰ...
წრიალებენ
ფოთლები ხეზე...

საუბარი ცხენისწყალთან

შენ, ცხენისწყალო,
მხრებზე მისვამდი
და ისე მზრდიდი
ლაღო,
ზვიადო...
გამომაცილე მერე დიდ გზამდი
და ჩემი თავი შავ ზღვას მიანდე...
მერე, შენ შენი გზებით გასწიე,
ჩემს გზებზე ნისლთა ბჭობა გაგრძელდა
და ისე დიდი ტვირთი ავწიე,
მის ქვეშ ლომკაციც ველარ გაძლებდა!
ვინ რას მაძლევდა?
არც მითხოვია,
ჩემი ცხოვრება
ისე გაგრძელდა,
არ მიფრენია, როგორც თოლიას,
ვინმეს ჩარდახთან,
ვინმეს საბძელთან...
ბარდს რომ მივენდე,
თმები დამწენა,
ქარს რომ მივენდე,—
გახდა ფხორია.
მესაიდუმლე გახდა ქარ-ძეძვთა
ცაცხვი,
ჩრდილიც რომ არ მითხოვია!
დავუმეგობრდი ლამაზ იადონს, —
ჰანგებს რომ მღერის საგანთიადოს!
ჩემი აკვანი შენი წყალობით
ისეთ ბედზეა გადარწეული,
გასაჭირის დროს მზისკენ ვმაღლდები

და ვერას მაკლებს ძალა გრძნეულის!
მადლი ღმერთს,
დროზე ვიცან იაგო...
გული მზაკვარი,
გული მოყვრული...
ბუნებამ ყველას თვისი მიაგოს —
მისი ჩონგური,
მისი ქონგური...
ცოდვილმა ბუნაგს ველარ მიაგნო,
დახტუნავს კუდზე ცოდვებმობმული...
გაზრდილა შენი თევზით და მწყერით,
მჭადით და წვენით კამკამა „ჩეშის“
მე შვილს მგელსაც კი არ დავუწყევლი!
—
სხვა რად იმეტებს ულმერთოდ ჩემს
შვილს!?
...გამოვჩნდი ცეცხლის თმითა და
წკნელით,
როცა ეგონათ რომ აღარ ვჩანდი
და არ დავტოვე გადაუწველი
ბუნაგი მისი, ვინც ცოდვას სჩადის!..
ო, ცხენისწყალო,
კი მოვესწრები, —
მოგქონდეს თავქვე ზამთრის ყინული,
რომ ითეთრებდნენ წვერებს მესრები
ნაჯახით, ახალპირაპირულით,
თუ სიბერეში შესვლა მაცალეს
და დაბერება, მისჯილი ბედით,
თუ არ გამყიდეს,
თუ არ გამცვალეს,
კარგი ყოჩი თუ დამიდგა გვერდით...
...ხმა ცხენისწყალო
მესმის კვლავ შენი:
— კეთილს საშველი!
ხსნა და საშველი!
წყევლა, შენს მწყევარს,
ლოცვა, შენს მლოცველს,
გფარავდეს ჩემი დედური კალთა,
სიმხნევე მოგცეს,

სილაღე მოგცეს, —
მისულს ცხოვრების უმაღლეს კართან!
...კვლავ უბულბულე მარტვილის სუროს,
რომ სასიცოცხლო —
ნამი გასხუროს!..
მარჯნის და გიშრის მძივებასხმულო
ბინძურმა შენზე ვერ იავსულოს!..
ნუ შეშინდები, ჩემო ასულო, —
ცხენისწყლის გალმა უკვე გასულო!!!

აჩადარა

აჩადარა,
        აჩადარა...
სიბნელეში არ ჩანდა რა...
და ჭაბუკმა ნეტარებით
მიაშურა გულის სწორსა,
ღამე ჭადარს ეუბნება:
— ვინმემ აღარ მიუსწროსა!..
გაინაბნენ ვარსკვლავები,
შერცხვა იას, ლილილოსა,
უცებ მთვარემ გაანათა:
— დე, სუყველამ იხილოსა.

ჩემო ბიჭვინთავ!

დილაადრიან ბოლივით ასდის
ზღვისფერი ნისლი მწვანე ბიჭვინთას.
ჭია-მაია ტოტზე რომ ავსვი, —
ჩამოიჭვრიტა ჩიტმა იჭვითა...
ჭია-მაია აჰყვა ფიჭვის ტანს,
მერე აფრინდა
და ჩიტზე უმალ
გადაუფრინა თავზე ფიჭვის მთას...
— ხვალ უსათუოდ დარი იქნება!
დარი იქნება, ჩემო ბიჭვინთავ!

მუხათწყარო – ლექსის ქოხი

მაგრამ მწვანილებიდან
არც ერთი არ იძვრის!
ეს პრასია,
ეს კომბოსტო,
ეს ჭარხალი, ვიცანი...
როგორ გაგორებულა
ესეც ვიცი, ვინც არის!
ვინ არის და საზამთრო!
ამის ცნობას რა უნდა!
ამას დღეში ცხრა ცალს გვაჭმევს
ჩემი ბაბუ ალუდა!
მაგრამ ახლა ბებიას
დავალებას რა ვუყო?
ვაჰ, თუ ქინძის მაგივრად
ოხრახუში წავუღო?
იფიქრა და ციცქნა დაჩის
თვალში ღიმი ჩაუდგა:
— წავალ,
ვეტყვი ბებიას:
ხარჩოს ქინძი არ უნდა?
ანდა... როგორ ვერ მივხვდი,
ასე რამ გამაბრიყვა?
ბაღში დღესაც ხომ მოვა
საზამთროსთვის ბაბუა?!
ჰოდა... ამას არ უნდა
ბევრი ინძლი-მინძლი,
ბაბუ მეტყვის რომ მოვა,
რომელია ქინძი!
მაგრამ არა! ო, არა
აღარც ასე ივარგებს!
ჩემს ბებიკოს სადილი
რომ არ დაუგვიანდეს,
ყველასაგან ამოვკრეფ
მწვანილს რაც აქ კვლებია,
წავუღებ და... თვითონ იცნოს
თავის ქინძი ბებიამ!

მზეს თქვენ უყვარხართ, ბავშვებო!

მზესა აქვს სხივი იმდენი,
რამდენიც ბავშვია ქვეყნად!
თითო ბავშვს თითო სხივს უგზავნის
თითო ერს — თითო შეკვრას!
და თითო სხივი ზეციდან
ოქროს ზარივით რეკავს!
მზე კვალში მიყვებ-მოყვება
გუთანს, ხარსა და ერქვანს.
მზეს თქვენ უყვარხართ, ბავშვებო,
ციდან გიფანტავთ ღრუბლებს
და სათამაშოდ გასულებს
გიშრობთ ტალახს და გუბეს!
მზე პურს გიმწიფებთ, ბავშვებო,
ალუბალს, ვაშლს და ყურძენს,
მზე თხილს და წაბლს აოქროვებს,
ვარდებს უფურჩქნის ფურცლებს;
რომ შესცივდება ენძელას,
მზე გამოჩნდება უცებ!
მზე ყინულს ალღობს,
თოვლს ადნობს,
მზეს ირმის გული უცემს!..
მზე თქვენს მშვიდობას დარაჯობს,
ორბის თვალებით გმწყემსავთ,
ბეჯითი,
გამრჯე ბავშვები
მზემ ვარსკვლავებზე შესვა!
მზე სხივებს სწორად გტყორცნით და
თქვენც არ იაროთ მრუდად,
მზეს თვალმზიანი დღეები,
ბავშვებო, თქვენთვის უნდა!
ოქროს ნისკარტზე ჰკიდია
მზეს ზღაპრით სავსე გუდა!
მზე გულში იკრავს თქვენს ხუთებს,
ორიანებს სწყვეტს კუდებს,
მზით, თქვენი სიცილ-კისკისით
სავსეა ჩიტის ბუდეც!

ვაზის ფოთლის ოდენას...

...ვჩხვერ მოცდენილ კლდე-მიწას, —
ვაზის ფოთლის ოდენას...
იმდენს ვნაცარქექიობ! —
წყალმა იწყო მოდენა...
...პეშვი წყალიც მეყოფა
წვიმავ, შე ცეროდენა...
და... იმასაც მამადლი!
...შენ ხარ დამმწიფებელი
ჩემს ეზოში: ატამ-ბლის?!
2006

პოეზიის ქედი

გვირილების ქუჩის თავზე —
პოეზიის ქედი!
ვხედავ
გადის, —
მას ჰკიდია
ჩემი ტვირთიც — ღვედით...
...ეს უღელი, — სასწორია
ჩემი ღონის, გონის,...
...ეს, პოეტის უღელია! —
არ გეგონოთ — მონის!..

...ამ მინიატურულ ეზოს...

...ამ მინიატურულ ეზოს, —
ამ პატარა მშვენებას —
ბროლის კოშკად ამაღლება!
უფლის თვალის შევლება...
ვაზის, ვარდის დამკვიდრება, —
ეკლის გადაშენება!..
ია-ია-ენძელებით
ღობის ამოჭრელება,
მუზის ქროლვა,

დასიცხული
ლექსის ამოჭენება!..
...გამიშლია ეზო ნოხად
გზა, სულიერ შენებას...
2006

* * *

...აგერ თელა, მუხა,
აგერ წაბლი, რცხილა,
აგერ სქანი* — ცირა!
ჰა, ბუხარიც...
ჰოდა...
რას მიქვია — მცივა!
2006

მუხათწყაროს ბაბილონში

...ივლისია! ცხელა, იწვის
მუხათწყაროს ამინდებიც,
...მაინც ლაღად შრიალებენ —
თქვენი სემირამიდები!..
...რეზოს, სვეტას, ხათუნას და...
სოსოს სემერამიდები...
ჩუხჩუხებენ წყაროები —
პოეტების მამიდები! —
ჩემს ბაღსაც ეფერებიან:
— ლიდას სემირამიდებიც...
— ლიდას სემირამიდებიც...
განა ...დაკიდებულია? —
ჩანთებულან დაბალ მოლში?
...ვით ...მეშვიდე საოცრება
მუხათწყაროს ბაბილონში...
2006

* შენი

* * *

...მიტრიალებს ქარი!
მაინც
კოჭებამდე მწვდება, მფარავს
მუხათწყაროს ტყე-მინდვრების
და ფოთლების სარაფანა...
2006

პოეზიის კონცხი

...მუხათწყაროს აგარაკზე —
პოეზიის კონცხი
ჩემი ციდა ეზო გახლავთ, —
ვფოცხავ ოქრო-ცოცხით...
დავფარფატებ, დაფნით, ბზაკლით
შეიმოსა ბორცვი...
ამ კლდეზედაც არ მაყენებ?
როგორ ამოცოცდი?!.
...მაშინ ...მაშინ...
არ გეწყინოს
ჩემგან
ქაჯის-ცოცხიც...
2006

ლექსის ქოხი

მუხათწყაროს მაღალ კლდეებს
შვენით როგორც-დედოფლები,
ხათუნებო,
ლეილებო...
თქვენს ვალებში... ეჰ, ვეფლობი!..
მაგრამ მაინც — მეფოთლებით,
ჩემი ნეკერჩხალა დები!..
რეზოს... სოსოს წყალობაა,
რომ აივსო ჯამქოთნები...
...მერაბ ...გურამ ...ნოდარ ...ზურაბ
ჩამომყურებს მზეც ფეთებით!..

...მეცეცხლური... შემწეები
აბა, აღარ მეყვარებით? —
ავაშენე „ლექსის ქოხი!"
სამეზობლო... „ბეგარებით!"
...ჩემო ...მუხა — მუხა ძმებო
თქვენს ვალებს არ ვემალები!..
...ლექსით, ლექსით, ლექსით მინდა
დაგიბრუნოთ ეგ ვალები!..
2006

დგას ასკილიც დიდი ხანძრით...

(ბატ. ზურაბ ჭუმბურიძეს — კრიტიკოსსადა ლიტმცოდნეს, მწერალთა კავშირის „მუხათ-წყარო"-2-ის მებაღეობის თავმჯდომარეს)

ჭუმბურიძის გამგეობის
სახლი, მაღალ კბოდე-ბეგით
თავზე ადგას მუხათწყაროს
აგარაკებს, როგორც — ბეგი!
ცა ქარიშხალ წამოსხმული
მოხიბლულა ჩემი ფაცხით!
არ წვიმს, არ ცრის, სიწყნარეა, —
თითქოს დავანებას მაცლის,—
...ვხედავ მცხეთელ ინსპექტორებს...
თუმც ...არ მიძევს არა განძი!
მიმოდიან: ზევით, ქვევით, —
ტყეში, ხევ-ხევ, მარჯვნივ, მარცხნივ...
მოყურადე მეზობელი
დგას ასკილი დიდი ხანძრით!..
დამკრიახებს ნეკერჩხალი, —
— ტყიდან შინდი მობრიალებს,
ლიდა, შენი მეზობლობით
არ ნააგებს — მოზიარე!..
...ამომიდგა, როგორც დაი!
მეხამრიდად... ცოტა ... მკაცრიც!..
ჩემს ... ლეილა ჭუმბურიძეს
არც ერთ პოეტ ქალში არ ვცვლი!..

...მე ... მის ქართველ ქალობას და...
ის კი... ჩემსას ამზიანებს
— ლიდა! შენი მოქნეული
ლექსი კლდესაც აზრიალებს...
...ხვალ კი, ხვალ კი... ამ ხრიოკსაც
უკვდავებას აზიარებს!..
— დიახ, მოქნეული თოხით
დღეს საბალე მიწას ვბეკნი,
...არ აიშვან თავი, თორემ
აქ დგას ჩვენი ზურაბ-ბეგი!
და ლეილაც! ცოლ-ქმრულ უღლის
ოქროს ჭაპანივით მწევი,
გვერდით უდგას თავის სპასპეტს, —
უჭერს აპეურის წვერი...
— ჯგირ ოსური! — ოსურპატონ...*
ჩემი დაცვის წევრთა-წევრი!!!
2006

...შუბლზე დაკრული ტვიფრით...

(ჩემს ძმას — პედაგოგსა და პოეტს
— ამირან სტვილიას)

...ან, სად გადავიწვიმოდა...
ან, სად გადავიჩრდილო?!
...დღეს რომ ლაგდება ღრუბელი
ხვალ, ზეცა ისევ შლილობს!..
...მშველელი ძმაი მომიკვდა
მუხაო — ფოთლებშლილო!..
...პრომეთეს კლდეზე მიჯაჭვულს
უდგას სხვა ჭიქა — ფარჩნი
მოგიკვდეს დაი, — ამირან
რა ვარსკვლავებზე გავჩნდით?!.
მარტვილის სადიდებლად
კალამ — ჩირაღდნით ხელში
იდექ! სულ კეთილმოსურნედ, —
სხვებიც შეგყავდა ეშხში...

* კარგი ქალი! — ქალბატონი

...კვლავ ცეცხლის მოსატანად ხარ
წასული ნაპობ-ფერჩხით,
აბა, შენ... სხვა რა უნდა ქმნა? —
ამიტომაც ...არ შემრჩი!..
...ამიტომაც ...არ ჩემრჩი!..
...სად ხარ? სკოლაში? ვენახში?..
ყველგან ტვირთით და რითმით!..
...ვხედავ შენს სიკვდილს ...სპილენძის
შუბლზე დაკრული ტვიფრით...

...აქ, ასეთი სერობისთვის...

კლარა ჩაჩავას

პოეტების სერობა მწამს
მუხათწყაროს მწვერვალ-მწვერვალ!..
ღმერთთან ახლოს, — ცის ქუხილზე... —
ხომ... არ ამიყვანა — წერამ!?
...წერამ კი არ... ამიტანა...
მიხმობს ველურ ლექსის წერა!..
...მზე და მთვარე!.. — ღმერთი, მუზა,
პოეტები,
...ხან...დემონიც!..
...აქ, ასეთი სერობისთვის
ოდეს ...მაინც — პანთეონი!..
...გენდეთ ...გენდეთ ...გენდეთ ...გენდეთ... —
კლარა!.. ისე ...ვეტრფი ქედებს, —
ფული არ მაქვს — ანდერძს კლდეს ვდებ...
შენ იპოვი! —
მიმაბარე!..
ამ მწვერვალთა ედემთ — ედემს!..
2006

* * *

ჩემი...სიცოცხლის ულელტეხილი, —
ჩემი ცხენისწყლით დაიმტკვარება!..
ლექსია — ჩემი გამცხუნვარება!
...ლექსია — ჩემი გამყინვარება...
2007

მშვენიერი სული...

არ ბერდება ხანით
მშვენიერი სული! —
მსვენიერი სული
არ დაჰყვება სურვილს...
მშვენიერ სულს თავიც
აღარ უყვარს მწყრალი!..
ამიტომაც მღიმარს
სულ უცინის თვალი!..
არ ბერდება ხანით
მშვენიერი სული!..
მშვენიერ სულს ხანიც
მოწიწებით უვლის...
2006

* * *

...თავს ვევლები ... თავს მევლება, —
გადაფრინდა — ალალი...
...კი ...ჰგავს, მაგრამ ...მუხათწყარო
ხუნწი მაინც არ არის!..
2007

* * *

ისევე, როგორც მოუხაროდათ
საქართველოში ლესიას, მარჯორს, —
...მიმიხარია მუხათწყაროში
ყოჩად მივყვები ლექსების ცხვარ-ჯოგს...
2007

* * *

— რალა დროის ძილიაო,
თითქოს... საყვედური!..
— შემობრძანდი დიდო მთვარევ! —
ძმას დახვედრა — დური!
2007

* * *

...ო ...ბუხარში ცეცხლი უფრო
გახდა გადარეული!
რომ არ დავანვევინე
ენძელების რვეული
2007

* * *

...არცერთ მცნებას არ ვარღვევ, —
იცის ღმერთმა, კაცმაც...
გვწვავენ, მაგრამ
...ვერ დაგვწვეს
მე და ჩემი ფაცხა...
2007

* * *

...ჩემს შვილს მთვარე ნათელ ცაზე
ღრუბელ — ღრუბელ დაჰყავს... —
...მე, კი ...ვუსმენ ტყიდან ბულბულს
და ღელიდან — ბაყაყს...
2007

* * *

...დედა იყო პოეტი
მაგრამ ...წერით ...არ წერდა...
დედას აჟღერებული
გიტარის ხმა არ წყდება!..
...ვით ფანჯარას — დედის ხმა
გულს ჩიტივით აწყდება...
2007

შთამომავლობა



ჩემი შვილიშვილები...

ჩემმა შვილიშვილმა — მედეამ,
ჩემმა შვილიშვილმა — ლიდიამ,
ვარდები მომართვეს ედემის
და ახლა იებზე მიდიან...

— არა!
ნუ წახვალთ, პაწიებო,
ტყეში
ტურებია,
მგლებია...
...ვიდრე არ გახდებით არწივები,
მგლების გეშინოდეთ, ბებია!!!

ორი ციცინათელა

შვილიშვილებს —
მედეა და ლიდია წერეთლებს

ჩემს ეზოში დაფრინავს
ორი ციცინათელა
ერთმა წყლული,
ერთმა ჩემი
ჩანგის ხმა გაამთელა!

მათთვის არ მენანება
ღამეების გათევა.
ერთი მიზის კალთაში,
ერთი მკერდზე მათბება...

მედეა და ლიდია —
ჩემი გულის ნათება!
ფარფატებენ მშვენებად,
განა მინდვრის სათელად?

ჩემი ანგელოზები
ჩემი ორი ნათელა!
გაიზარდეთ ქართველად!
გაიზარდეთ ქართველად!

ყველაფერი მითხარით, —
რაც ძნელია სათქმელად!

არა, არა! შვილებო
არსად წასვლა ირაოდ!
მომავლის სავალი გზა
რომ არ აიყირაოთ!

...თქვენი ეშხით, ახ... უკვე...
ვგრძნობ, შორიდან დამთვრალან, —
ნალკოტებში მზესაც კი
ნუ შეჰყვებით ცხრათვალას!

დაუჯერეთ მამიკოს,
თორემ დაგფრენთ ორბივით!
რა... დროსია ჯერ თქვენი
ძმობილი და დობილი?!
დაუჯერეთ დედიკოს, —
მისებრ ვიღა მოგივლით.

...მე... კი... თქვენდა სალხენად
მინდა რომ ვაღიარო:
გავდე ლექსი ხიდივით
რომ ხვალ თქვენ ზედ იაროთ!

მეკითხება მედეა

მეკითხება მედეა:
— ეს რა ჩიტის ბუდეა?
ეს ბულბულის ბუდეა —
საქართველოს ბულბულის,
მოქსოვილი ასკილზე
თივითა და ბუმბულით!

ბულბული კი, პატარავ,
ის ლამაზი ჩიტია,
სიყვარული ქართველთა
გულში რომ ჩაიტია!..

მთელი ღამე წუხილის
გალობით რომ გითია?

მე და შვილიშვილები ზღვაზე

— ბებია!
კაი კენჭი ვიპოვეთ;
ლამაზი
ვით
ჩიტის კვერცხი...
გულში იხუტებენ მოფერებით —
კვლავ აკრიალებენ რეცხვით...

— ბებია!
კაი კენჭი ვიპოვეთ —
ფრთები ახატია მერცხლის...
— ბებია!
მარჯანი ვიპოვეთ,
ანთია შიგ თეთრი ცეცხლი.
— ბებია!
ნიჟარა ვიპოვეთ,
შიგ მდგარა წყალი ვერცხლის,
— ბებია,
— ბებია,
გვითხარი
ზღვამ დადო
ამდენი კვერცხი?

ტალღამ თქვა:
— კიდევ კარგი,
ბალღებთან
ამხელა ზღვა რომ
არ შევრცხვი!

ლიდა ბებოს ლიდიას

...კრუხივით იფოფრები —
რას გვინუნებ ნიბლია?
ლიდა ბებოს ლიდიას
გზები ვინ აგიბნია!

ჩქარა, უკან მობრუნდი!
ჯერ კანფეტებს გიყრიან...

დაგესევა ბირკები,
გზებს არ გაჰყვე ბირკიანს!

არსად რომ არ გამრუდდე —
უხამსობა დაგიგმე!..
ტახტი გელის დედოფლის
ბჟღარტო! თუ ყურს დამიგდებ!..

...მუდამ მზედ ამომსვლოდე,
ვერ ვიტან ცუდ ამინდებს!

„ბედისკვერი“... რა არის და...

ეჰ, „ოქროს საწმისებო!“
ლიდია და მედეა...
„ბედისკვერი“... რა არის და —
ბედის ძებნის ბედია!

ბედი უნდა ყველაფერს!..
ბედი... ზოგჯერ მტრედია!
ყველაფერი ბედითაა...
დები რომ ხართ, — ბედია!

...ნაადრევად ო, იქნებ...
ბედი აგხირებიათ?
სიკეთის წილ-სიმწარე
ვაჰ, თუ უკვე გრგებიათ? —
ბედს... მაინც ნუ ემდურით —
ყველას თავის ბედი აქვს!..

ჩემო თვალხატულებო
ვთხოვ ღმერთს — კარგ ბედს ეწიოთ!
...ბიჭებს იქით არ სდიოთ —
აქეთ უნდა გეძიონ!

1999

ბალი დამწიფებულა

ტაში, ტაში

ტაში, ტაში, ტაში,
ტაში, ტაში, ტაში,
მდინარეში დამბანეთ —
არ ვეტევი — ტაშტში!

უკბილო

...უკბილო ვარ, უკბილო
ატამს როგორ ვუკბინო?

ფალავანი...

...დათვმა რომ არ წამაქციოს
მე, პატარა ფალავანი,
მუთაქებით, ბალიშებით
ამიშენეს გალავანი...

ფისო

ფისუნია ფისო
სახურავზე ზისო, —
თაგუნია დაიჭირა —
ძირს არ ჩამოდისო.

ბალი დამწიფებულა

...ბალი დამწიფებულა,
...ბალი დამწიფებულა,
აქეთ ტოტზე მე ვზივარ,
იქით ტოტზე — ბელურა.

მშიშარა

შეეშინდა, ბეკეკას,
რომ შეახო ხელი.
— მშიშარა ხარ, მშიშარა!
ზურას უთხრა ნელიმ...
მოეფერე, თხა არის, —
არ გეგონოს მგელი...

ციყვების ოჯახი

დედა ციყვმა ფულუროში
გაახურა ბუხარი:
თხილი ააჩხრიალა,
ძველი,
ნაყარნუყარი.
აგუგუნდა მამა ციყვი:
— ვისარადა, ვოისა,
წელს ცხრა შვილი მეყოლება,
ყველას გვერდით მოვისვამ.
აშრიალდა თხილის ბუჩქი:
— მაშინ მეც ბევრს მოვისხამ!

ტყუპები

ბაღის კართან შევჩერდი,
დავანახვე ბებიას:
— შეხეთ, მსხლები ერთმანეთს
როგორ ჩახუტებიან!
ბებიამ თქვა: — დებია,
ბაბუამ თქვა: — ძმებია,
პირსაც ერთად იბანენ,
მზეზეც ერთად თბებიან,...
ჩიორამ თქვა: — ერთმანეთს
სულ არ ეჩხუბებიან...

ყანაში

...თითო ძირ სიმინდზე
ვტეხავ ტაროს ორ-ორს...
...ნედლი ტარო ...მე... და...
ხმელი ტარო — გოდორს!..

ჩამოვარდა — რკო...

ჩამოვარდა რკო,
ყვავმა წაიღო!
იმ რკოს ყვავს კვლავ წავართმევთ
მე და მამიკო!

ტყეში დიდი მგელია

შენს ეზოში გერჩიოს
თამაში და რბენა!..
...ტყეში დიდი მგელია,
მგელმა იცის კბენა...

ბალ-ნამალი ბალამწარა

...ამ ბალს ჩიორა ჩიტები
კენკავენ, არ ემდურიან, —
ტკბილი იმიტომ არ არის, —
ტყისაა — გარეულია!
ველურ ბალ-წამალს ეძახის
ბებიკო... და ეცინება:
— რაც ბალამწარა მივირთვი,
არ მემართება — ციება!

ენძელა

გადასწია ...გადმოსწია
ბალახები ენძელამ,
ყელმაღალა, გრძელფოთლება,
თეთრყავილა ფეხგრძელამ —
იძალა და ...ამოვიდა, —
ძველ ფესვებზე ენძელა, —
...რომ ვუყურებ ...ვმხნევდები და...
სხვა იმედი მეძლევა!

ზღაპარლექსი

...წუხელის ზეცამ ფიფქები
რაც დამიფქვა და გამიცრა,
ვზილე, თოვლ-ფქვილი ზელაში
პურის თეთრ ცომად გადიქცა.
...ვაცხობ და ვაცხობ ლავაშებს,
ბავშვებო, აღარ დაგამშევთ!
...ერთი მზე-პური აჰა, შენ!
...ეს მთვარე — პურიც მამაშენს!

მძინარას თუთა

— შენ გძინავს და ...შენი თუთა
სულ გაკენკეს ჩიტებმა!.. —
— არაუშავს, მკვახე-მკვახე
ისევ მწიფს და მიტკბება...

დათვი შვილიშვილებში

— ჰარლალალიი, ჰარლალო და,
— ჰარლალალი, ჰარლალო და,
წაბლს ხარშავდა ბებო დათვი
შვილიშვილებს დაჰხაროდა...
— ბარბალობა... ბარბალობა...

ჩემი მჭადის გვარგვალობა!..
ჩემი ბეჩოს ამღერება
შეშითა და ნაქურჩელით,
...ზრდა, ჯანი და კარგად ყოფნა
ჩემი თითო დათუჩების!..

მფრინავი სათამაშო

— აიწონა! — მივქრი ცაში!
— დაიწონა! — მოვქრი ბარში!
„აიწონა-დაიწონა“
დღესაც მიყვარს ეს თამაში!
— ფრ... ავფრინდით!.. გავიძახით
— გავუსწარით ნაძვის რტოებს
— მეცხრე ცაზე ავალ, მაგრამ
დედამიწას ვერ დავტოვებ.
2006

ვეფერები ბოჩოლას

...აქ რომ მოძოვს, კვლავ ახალ
საძოვრისკენ ვიწევით,
ვეფერები ბოჩოლას
და ბევრ რძესაც იწველის...

გამოგოდორდა...

...ბაღში წითელ ვაშლების
გროვები რომ მოგროვდა, ...
ტყის მოწნული გოდორი
ტყიდან გამოგოდორდა!..

ხაჭაპურის სახლი

...აწერია ჯიხურს: —
— ხაჭაპურის სახლი!
მაგრამ... ერთი ბავშვი
ასე გაიძახის:
— ხაჭაპურის სახლია
ქვის გურული კაცი! —
ბებოს გადახურული
თუნუქით და ცეცხლით...

თოჯინას დაბადების დღე

...ცუგრუმელა,
ცუნცულა,
კოხტა და
კოკროჭინა,
დღეს ერთი წლის გამხდარა
ჩემი გოგო თოჯინა.
სტუმრების მოლოდინში
კოხტად გამოწყობილა,
საზეიმო სუფრისთვის
ქადაც გამოცხობილა...
მოაკითხა დობილმა,
მოაკითხა ძმობილმა,
მოცეკვავემ განთქმულმა,
მომღერალმა ცნობილმა...
მიულოცეს დღეობა
კოხტას და კოკროჭინას,
ათამაშეს თვითონაც,
ათამაშეს თოჯინაც...
...ჩემი გოგო თოჯინა,
კოხტა და კოკროჭინა...

ქართული ანბანი

ჩემი ქართული ანბანი
აბჯარია და ნაბადი,
რომ მასწავლიდნენ დალოცვილს,
სულს ბულბულივით ვნაბავდი!

ქართულ ასოთა ლამაზად
როცა ვსწვალობდი გადაბმას,
გამოდიოდა სიმღერა
ნათქვამი ათა-ბაბადან!

ვნათობდი ჩვენი ანბანით —
ოცდაცამეტი მნათობით,
სულ თავზე დაგვკაშკაშებდა
გვართმევდნენ, მაგრამ არ ვთმობდით!

ფარნავაზია ჩაქუჩით
მისი პირველი მჭედელი,
პირველი დაფაც — ბოლნისის
ტაძრის უკვდავი კედელი!

ჩემს სამშობლო საქართველოს

მზე კრწანისის, მზე მარაბდის,
მზე საგმიროდ შემართული!
მზე ვარძიის, მზე კლარჯეთის!
მზე ზურმუხტით შეკალთული!
მზე გელათის, მზე მარტვილის,
მზე მთაწმინდის ლექსად თქმული
მზე დავითის, მზე თამარის!
მზე ხათუნი, მზე ხატული,
მზე ალაზნის, მზე კოლხეთის,
მზე ვენახად დახლართული,
მზე ზამთრის და გაზაფხულის,
მზე დროშებით სხივგანთქმული!
მზე — დედამზე, მზე — მამამზე,
მზე — ცხრათვალა, მზე — ქართული

მზე კაშკაშა ზამთარ-ზაფხულ
გვიოქროვებს მთას და მდელოს,
გაუმარჯოს მზისგულიან
ჩემს სამშობლო საქართველოს!

ხაჭაპურიც ეგ არის!

ბებო მიცხობს ხაჭაპურს,
კვერცხის გულით გაპრანჭულს,
სამ-ოთხ, ხუთსართულიანს —
ხან მეგრულს და ხან რაჭულს!..
განა ისეთ ფენოვანს,
ჯიხურში რომ ყიდიან?
ბებოს ხაჭაპურები
მთვარესავით დიდია!..
ჭრის ბებიკო ხაჭაპურს —
სულს უბერავს ეს ქარიც...
გაინელა ყველი შიგ —
ხაჭაპურიც ეგ არის!
ბებო მიცხობს ხაჭაპურს,
კვერცხის გულით გაპრანჭულს
ჭყინტი ყველით გატენილს,
ხან მეგრულს და ხან რაჭულს...
სამ-ოთხ-ხუთსართულიანს
ყველის ქართულ ხაჭაპურს!

მურიკელა

...მურიკელა, მურიკელა
შემაგებე წინა თათი,
ხომ ხედავ, რომ ჩამოვედი, —
ადე, ხელი ჩამომართვი...

დედა-ენა

დედა-ენა, — ერის დედავ!
დედა-ენავ ქართულო!..
წიგნთა-წიგნო,
წიგნთა დედავ,
წიგნო, ენა ადგმულო!
ანბან-ანბან სიბრძნით სავსევ,
იით ამოხატულო!..
წყاროსთვალა ცოდნის წყაროვ, —
წყاროსავით მატულობ!..
გაგიმარჯოს ერის დედავ,
დედა-ენავ ქართულო!..
პანაწინა ქართველების
მუდამ წვრთნაში გართულო!

ბროლის ჩურჩხელები

საწვეთლებზე ჰკიდია
ჩურჩხელები ბროლის
ოცი, ორმოცდაათი
განა, ერთი, ორი?
— ვინ გვიკიდებს ჩურჩხელებს?
— ვინ და... ბებო — თოვლი!

ნელი და აბრეშუმის ჭია

...გააბი და გამოაბი
ოქროსფერი ქსელი! —
პარკუჭანა მოქსოვე
უჩინარი ხელით, —
შეხვედი და ჩაიკეტე,
მე დამტოვე — გარეთ...
ასე მალე რატომ დამთმე.
ცუდად მოგიარე?

ფისო მთვარეზე

...მთვარეზე რომ გადმოსვეს, —
ფისუნია განრისხდა:
— აქ რა გამაძლებინებს
სუნი არ მცემს — თაგვისა!
დაჰკრა თათი რაკეტას და...
გადიგრიხა ულვაში! —
— გასწით! თაგვი ამომიყვათ! —
იქ ზის — ბებოს ხულაში!

ჰერი! ზღაპარს, ზღაპარსა!

...ამ ზღაპრული რაშითა
გადავიფრენ ცხრა მთას,
ამ ზღაპრული ხმალითა
დევს წავაცლი ცხრა თავს, —
მელას სორო-ციხიდან
გამოვიყვან ქათამს!
...ჰერი! ზღაპარს, ზღაპარს —
ტყუილსა და მართალს.

თიკანი

...არ მინდა, რომ ძილისგუდა
ფისოს ძილი დავაცალო,...
ამოვედი აივანზე
საბაკუნოდ, საბანცალოდ...

წიგნი — ნახატებიანი...

...წიგნი სავსე ღმერთებით და
მეფეებით, ზღაპარ-მითით...
ისე მიყვარს, ისე მიყვარს
არ ვიღლები მისი კითხვით
გადაშლილი წიგნი თითქოს
ფრთაგაშლილი მტრედი არი.

მიყვარს წიგნი! — მიყვარს წიგნი!
ზღაპრის წიგნი, ფრთებიანი
წიგნი, სავსე ფრინველებით,
წიგნი, ლურჯი ტბებიანი, —
წიგნი, სავსე ცხოველებით, —
წიგნი — ნახატებინი.

მოიცალა ტყემალი...

...მოიცალა ტყემალი,
მოიცალა ტყემალი,
ახლა ტყემლის ტოტებზე
მწიფს ადესის მტევანი...

ბიძაშვილები

გიორგი და თემური
იზრდებიან ძმებივით,
სულ აქვთ ერთმანეთისთვის
ძღვენი გამოძებნილი...

დათვი შვილიშვილებში

— ჰარლალალიი, ჰარლალო და,
— ჰარლალალი, ჰარლალო და,
წაბლს ხარშავდა ბებო დათვი
შვილიშვილებს დაჰხაროდა...
— ბარბალობა... ბარბალობა...
ჩემი მჭადის გვარგვალობა!..
ჩემი ბეჩოს ამღერება
შეშითა და ნაქურჩელით,
...ზრდა, ჯანი და კარგად ყოფნა
ჩემი თითო დათუჩების!..

ზოოპარკის კარუსელზე

...მედეა და ლიდია
ზოოპარკში მიდიან.
იქ ნახავენ მელიას,
დათუნიას — ბელიანს,
...ციყვუნებიც ელიან,
ზღარბუნებიც ელიან.
იქ ნაყიდი ნაყინიც
უფრო გემრიელია!
იქ რომ კარუსელია,
სჯობს სხვა ყველა კარუსელს
არ მივიდნენ სპილოსთან, —
კარუსელზე გაქუსლეს!
მედეა ცხენს მოახტა,
ლიდია კი — მელიას,
სურვილები პატარებს
აღარ გამოელიათ!
კარუსელი იცინის,
მღერის დელა-დელიას,
ზოგიერთი ატირა
კარუსელის ტრიალმა:
— რატომ ვარ უკანო,
რატომ ლიდას წინ არ ვარ!
...კარუსელმა ჭრიალით
მხრები აიყირავა.
— ძირს ჩამოდით ახლავე
რომელიც ხართ მტირალა.

რვა მარტია, მაგრამ დედას არ სცალია

...დედას ლურჯი კაბა
იის ნაცვამია...
დედას ყელზე მძივად
ოფლის მარცვალი აქვს...
ოფლად დასცვენია —
მინდვრად რაც ცვარია.
დედამ გამოაცხო,
რაც აქ ნამცხვარია...

რვა მარტია, მაგრამ
დედას არ სცალია...
სულ საქმე აქვს დედას
ეზო, სახლი, ბალღი,
იქით — საქონელი,
აქით — ყანა, ბაღი...
სად სცალია დედას,
რომ მიუჯდეს სარკეს...
დედას ჰყოფნის სურნელი
ყვავილი რომ აკმევს...
ცალკე ჩვენ ვღლით დედას,
სამსახური ცალკე,
მაგრამ დედას მაინც
შრომა ვერას აკლებს!
...გემრიელს და გულუხვს,
ქათქათას და სუფთას
ჩიტიც რძეს არ აკლებს
დედას გაშლილ სუფრას...
დედამ გამოაცხო,
რაც აქ ნამცხვარია,
რვა მარტია, მაგრამ
დედას არ სცალია.

ვერ მიირთმევთ...

(იგავი)

ტურა შეხვდა ქათამს
ტყეში, ღელის პირას.
— უჰ, რა მსუქანი ხარ! —
შეჭმა დაუპირა.
შენ ვერ შემჭამ, ტურავ,
ვერ ჩამიგდებ ხელში,
ქათამი ვარ დათვის,
მიტომ ვცხოვრობ ტყეში.
გაიპარა ტურა
ტყიდან დათვის შიშით,
ახლა ქათამს დათვი
შეხვდა პანტის ძირში.

— თუმცა მსუქანი ხარ,
არ მეყოფი ლუკმად.
— მე ვეკუთვნი დიდ ლომს,
კბილს ილესავ უქმად!
გაიპარა დათვიც,
ხევ-ხევ გაიძურნა,
მელა შეხვდა ქათამს,
მიაძახა წუწკმა:
— უჰ, რა მსუქანი ხარ?
ვინ გაგიშვა ველად?..
— შენ სიმსუქნე ჩემი
ტყვილად მოგწონს, მელავ!..
ქათამი ვარ ვეფხვის,
მიფრთხილდება ყველა!
და შენ ვინ მიგდიხარ,
ქურდბაცაცა მელა!..
...გარბის მელა,
ლამის
მოიტეხოს ფეხი...
...ვერ მიირთმევთ ქათამს,
თუ პატრონობს ვეფხვი!

მეფე, წმინდანი — დავითი!..

აღმაშენებლის გამზირზე
მეფე, წმინდანი — დავითი
დგას ცხენზე ხმალანთებული! —
მზეო! ბანი თქვი, ბანი, თქვი!!!
...მან გაიმარჯვა დიდგორთან
ჯვრითა და ვაზის შრიალით,
ეს, მან აიღო ანისი,
ბასიანი და შირვანი!..
ცერზე შემდგარა დიღმის ტყე,
როგორც ყივჩაღის ლაშქარი!..
დავითი, მეფე-წმინდანი
ბრძოლით დაღლილი მაშვრალი
გაჰყურებს ამერ-იმერს,
ვით ანთებული სანთელი...

რომ არ აეგოთ გელათი —
არ უმღერებდა შავთელი!..
რომ არ ეშოვნა ხალხისთვის
წამალი ჭირთგან დამხსნელი,
რომ არ გაეღო ცისკარი —
არ უმღერებდა არსენი!
არ ყოფილიყო ღვთიური —
ჭყონდიდელი არ გაზრდიდა...
მოდგნენ: ...პეტრიწი, ეფრემი
აღმაშენებლის გამზირთან!..
...ოლთისანი რომ გადაწვა,
საქართველო რომ დავირქვით,
რომ აღსართანიც მან მოსრა
მიტომაც არის — დავითი!
...აღმაშენებლის გამზირზე
მეფე, წმინდანი — დავითი
დგას ცხენზე ხმალანთებული!..
...მზეო, ბანი თქვი! ბანი თქვი!..

მათბობელა ბუხარი

რომ ვივახშმებ,
დავიბან...
ძილო, სანამ მეწვევი,
სანამ ბებო დაწვება,
მის ლოგინში მე ვწვები.
ლოგინს ვუთბობ ბებიას
რაც ეს თოვლ-ყინვებია,
რაც ლიდია ჩემთან წევს,
სითბო არ მომკლებია! —
...იტყვის ბებო... და გვიან
წვება, გულში მიხუტებს,
როგორც ჩიტი მის ბარტყებს,
როგორც ფისო — მის კნუტებს...
მიხარია ბებოსთან,
ბებიასაც უხარის...
მე ვარ ბებოს ლოგინის
მათბობელა ბუხარი.

გაუმარჯოს გამარჯვებულ ბაბუებს და ბებიებს!

— ეს ბაბუას მოწეული
ტარო და მტევანია!
იცით? ბაბუ ომის და
შრომის ვეტერანია!
— ეს ბებიას მოწეული
ჩაი და მტევანია!
იცით? ბებო ომის და
შრომის ვეტერანია!
ფაშისტურმა გერმანიამ,
როცა ომი დაგვიწყო,
ბაბუს ბებოც გაჰყვა ომში, —
მოწყალების და იყო...
გამარჯვების წითელ დროშით
მტერს ბერლინში შესდიეს!..
გაუმარჯოს გამარჯვებულ
ბაბუებს და ბებიებს
დღესაც, ჩემი სასახელო
ბაბუა და ბებია,
თავდადებით შრომობენ...
მიტომ არ ბერდებიან...
ვით მტერს
მოსულ სიბერესაც
ისე უმკლავდებიან,...
ისე... არ ნებდებიან...

დაჩის გასაჭირი

ბებომ მითხრა:
— გახტი, ქინძი
მომიტანე დაჩიო
ბოსტანში ვარ, მაგრამ ქინძი
როგორ ამოვარჩიო?
გავიძახი კვლებს შორის:
— რომელი ხარ ქინძი?
— რომელი ხარ ქინძი!

* * *

...სულ ჭიკჭიკით დაგზარდეთ...
აგაცილეთ ჭინკები!..
ახლა, შვილიშვილებო
თქვით, ვის ეჭიკჭიკებით?..
...გირჩევთ, მიჰყვეთ ნატერფალს —
შარას ირმის ჩლიქების...
2006

* * *

...მიყურებ, როგორც პოტიომკინი!
მოჩემებულად... საქმე რაშია?..
...გებრძოლო? არა, არ ღირხარ
ბრძოლად...
...აქ, რალაც სულის სხვა განგაშია...
2006

* * *

...ალაგ-ალაგ წითლავს ფერდობს
თრიმლის ბუჩქი: — დივლი-დივლი...
...ვით სხალდიდელ თათრის ქალის
თმები... ინით შეღებილი...
2007

...მესმის ...ახალ მონის გმინვა...

...ო, კოლხეთის ველის შუქზე
მესმის ახალ მონის გმინვა!..
მყავს თუ არა სატირალი, —
ყველას ვტირი... ყველა მტკივა...

...თუმცა... მე... გახლეჩილთათვის
ერთი მარტვილელი, ვინ ვარ?

— ...ვინ და... პალიასტომიც კი
ჩემს თვალებში ცურავს — ტივად...
2006

გულს მზეს ვუბურბუშელებ...

...მომინდომეს ჩაქრობა!..
მივხვდი, და თავს ვუშველე, —
...გულს, მზეს ვუბურბუშელებ, —
თივას ვუბურბუშელებ!..
გამოქრობას არ ვაცლი —
შევყრი, — აბრიალდება! —
ღრუბლის მოგერიებით
...ვგონებ გვალვა მბრალდება!?
...გულს მზეს ვუბურბუშელებ
შურმა რომ არ გამლანჯოს...
შურისგან და ღვარძლისგან
ჩემს სიცოცხლეს ვდარაჯობ...
2006

დევის წყარო

...ისე ცხელა,
მუხათწყაროს
ყველა ჭაში დაშრა წყალი!..
ახლა კოკით თებროსავით
ტყეში წყაროს წყალზე წაით!..
აქით, ჩაით...
იქით, ჩაით
...იქნებ სადმე ყრუდ წანწკარობს
დევის მიმალული წყარო?..
2006

თითო ბავშვს თითო სხივს უგზავნის,
თითო ერს — თითო შეკვრას,
მზესა აქვს სხივი იმდენი,
რამდენიც ბავშვია ქვეყნად!

მზია კვირას დაეძებს

ადრე რომ გაეღვიძა,
განა მისი ბრალია?
რა ქნას გოგომ, თუ სხვები
ისევ ძილში არიან?
— ჩუ,
კვირა ძლივს მოვიდა, —
უთხრა მზიას ბებიამ.
— ძილს ნუ უფრთხობ, მამიკოს
ტკბილად ჩასძინებია. —
და პატარა გაჩუმდა,
დაიხურა საბანი,
გადმოხედა ლოგინებს,
ეძებს, კვირა სად არის.
მერე ჩუმად წამოდგა,
სხვა ოთახში გავიდა;
ხედავს, იმ წყნარ ოთახში
სძინავს მარტო მამიდას.
აივანზეც გავიდა,
დილას უთხრა სალამი.
უკვირს მზიას, რომ აქაც
უცხო არ ჩანს არავინ.
გამოიქცა უკანვე,
მოაქვს კარგი ამბავი,
აი, ბებოს ჩურჩულით
გადახადა საბანი:
— გაიღვიძე, ბებიკო,
კვირა არსად არ არი!

ავად გახდა ონკანი

...ნეტავ ცხვირი რას გაჰკრა?
წყალი მოდის თქრიალით,
არ ჩერდება ონკანი
აქეთ-იქით ტრიალით...
აუხვია ონკანს ყბა
ბებომ თეთრი ნაჭერით,
წყალი შეწყდა,
დედამ რით
დაამზადოს საჭმელი?
მამამ გამოუძახა:
ახლოდან თუ შორიდან...
და ექიმი კი არა
ტექნიკოსი მოვიდა.
ტექნიკოსმა კორპუსში
წყალი სულ გადაკეტა,
მაგრამ ჩვენი ონკანი
მანამ აღარ გაკეთდა,
სანამ ამ ჩვენს ლიკლიკას,
სანამ ამ ჩვენს ცანცარას,
ამ ჩვენს ონკანს
ის ძველი
ენა არ მოაცალა...
ონკანს ენა ჩაუდგა
ტექნიკოსმა ახალი...
მოუჭირა ჭანჭიკი
და კანაფი გამხმარი.
ისე, მისი მორჩენა
არ ყოფილა ადვილი,
ტექნიკოსი ონკანის
ექიმია ნამდვილი.
გვითხრა: დიდხანს წყლის დენით
ზიანდება ონკანი,
და მერე მას ვერ შველის
ბებოს — ღმერთო, მომკალი!
...და წყლის უქმად დაღვრა ხომ
არის დანაშაულიც?..
მოშვებულ წყალს გულგრილად
ნულარ აუვლ-ჩაუვლით...

გთხოვთ, ბავშვებო, ეს ერთი
საქმე ყველგან აკეთეთ...
სადაც ნახავთ მოშვებულს, —
ონკანები დაკეტეთ!

ვენახის მაკრატელი

— დელი, დელი, დელი, დელი...
ეს ვენახის მაკრატელი
წუთითაც კი არ ისვენებს —
კარგად მსხვილი, კარგად მჭრელი,
...რასაც გაჰკრა პირი, ხელი —
მიჭრა-მოჭრა ნედლი, ხმელი
მიჭრა-მოჭრა ქაჯიცოცხა
და გამოჩნდა მდელო ჭრელი!..
...ოღონდ აკრეჭ-აჭრევინე —
აღარ უნდა სხვა საჭმელი!

ახალი წლის თოვლი

თოვლი, თოვლი,
თოვლი,
თოვლი,
არემარეს ნათელს მატებს,
და ფიფქები პეპლებივით
ძირს სხდებიან ფანტელ-ფანტელ.
თოვლის პაპა მოსრიალდა
უბორბლებო ციგის ეტლით,
აბა, სხვა ვინ მოიტანდა
ამდენ ფიფქებს, იმის მეტი.
ფანტელებმა არ დატოვეს
ხეში ჩიტის შესაფრენიც;
ჩიტს მელია ეპარება,
მე მელიას ვუსაფრდები.
ჰერი, ჰერი, ჰერი, ჰერი!
გავხვეულვარ თოვლში სულმთლად,
მათოვს,
მათოვს,

მათოვს,
მათოვს,
ო, რა სუფთა ჰაერს ვსუნთქავ.
გენაცვალე, რა თოვლია!
არ წახვიდე, თოვლო, მალე;
როგორც შარშან გამეპარე,
როგორც შარშან დამემალე!

თხილ-ნიგოზი ძმებია...

სუფრაზე თუ ქვიჯაში
თხილ-ნიგოზი — ძმებია!..
თხილს, თხილბუჩქში,
ნიგოზს კი...
ნიგვზის ხის ქვეშ ძებნიან...
...ციყვებს თუ არ დავასწრეთ, —
თვითონ მიაძღებიან...

კვერცხი

თოვლში კვერცხი იპოვეს
და ჰგონიათ დებსო;
თეთრ კვერცხს ჟრუნა კი არა...
თეთრი თოვლი დებსო!

სიყვარულის ბუდე

ამ ჩიტუნებს ბუდეში
ხუთი კვერცხი უდევთ,
სხედან შიგ სიყვარულით —
ფრთა-ფრთას გადაუდევთ...
...დღეს — კვერცხები უსმენენ
დედ-მამის თბილ უბეს;
ხვალ — ბარტყები შექმნიან
მოჭიკჭიკე გუნდებს;
...გაივსება გალობით
სიყვარულის ბუდე.

დიდედა

დიდი ბებია გვესტუმრა —
მოსაკითხით და მხნე გულით!
ხელჯოხის ბაკუნ-ბაკუნით,
მხარზე კალათაშედგმული.
შვილიშვილებში რომ ჩაჯდა,
წარბები გახსნა შეკრული,
ღიმილი გადაეფინა —
მოშორდა სევდა ბებრული...
დიდედოს ფერად-ფერადი
ლექსი აქვს ყელზე შებმული,
ზღაპრები ნაირ-ნაირი,
ოქროს სიტყვებით შემკული!
დაგვკოცნა,
შემოვუსხედით,
გულში ჩაგვიკრა მზე გულით;
— რომ ვერ ჩამოველ ამდენ ხანს,
შვილებო, ხომ არ მემდურით? —
ამოალაგა ქათმები
და სულგუნები მეგრული.
— ეს მედეასო!.. და — ყელზე
დაჰკიდა წაბლის აცმულა:
— ეს ლიდიასო! — ნელ-ნელა
ჩურჩხელა ამოაცურა.
— ეს ჩემს ბიჭს, თქვენს კარგ მამასო, —
დოქს ამოაძრო ნაქუჩა.
— ეს ჩემს რძალს, თქვენს კარგ დედასო, —
და ჭრელი წინდა აჩუქა.
მოგიკითხათო ოჯახმა,
მოგიკითხათო სოფელმა.
ჩაგვიკრა,
გვკოცნა,
გვარწია,
გვეფერა,
ჰო, რა გვეფერა!..
ეს სიხარული მოჰგავდა
ბუდეში მერცხლის შეფრენას.
— სანამ თქვენთან ვარ, შვილებო,
სიბერეს რას მოვუთმენო!

ოღონდ ეგ არის, სოფელში
გაძლება მიჭირს უთქვენოდ...
სიცოცხლედ მიღირს ეზოში
მე თქვენი გავლა-გამოვლა...
— ნუ გეშინია, სოფელში
ბებო, სულ მალე ჩამოვალთ!..

პიტნა

...არც ნიახურ-პილპილა, —
ქინძიც არ ატიტინა, —
გადასწია კამა და...
პიტნა გამოიპიტნდა. —
თავს დაადგა მაშინვე
ბებო, პიტნის მძებნელი!
მოკრიფა და დანაყა, —
გადაზილა ეგ ყველი.
...გაიწელა ცხელ ღომში
პიტნიანი სულგუნი...
ო, რა გემრიელია? —
გამიხარა სულ-გული...

ძალას მმატებ, პაწიავ..

...დიდი ბებო... კი არა... —
მგონი გავხდი „ბაღელი“
პატარა ბებოსავით
დავცეკვავ და დავმღერი!..
...ძალას მმატებ, პაწიავ
სულ არა ხარ — დამღლელი.
2006

ბოლოთქმა

ლიდა სტვილიას ამ ახალ წიგნში ასეთ „სურათს“ წავაწყდი: „ოქროს წიწილებს აზის ღრუბლები, ლეგა ფრთებიდან ვარსკვლავნი უჩანთ და მთვარეს, როგორც სიმინდის ტაროს, დავუწყე თეთრი ღრუბლების ფურჩვნა“.

ჯერ ლეგა ღრუბლების – კრუხთან და ვარსკვლავების – ოქროს წიწილებთან შედარებამ მომნუსხა და მერე ლირიკულმა გმირმა, მთვარეს – სიმინდის ტაროს თეთრი ღრუბლების ფურჩვნა რომ დაუწყო.

დამეთანხმება მკითხველი, რომ მოხმობილი ერთსტროფიანი ლექსი სწორედ რომ პოეზიის მადლით სუნთქავს და მისი ავტორის ორიგინალურ პოეტურ ხელრთვაში გვარწმუნებს.

... დადის ქალაქში ქალბატონი ლიდა სტვილია.

სხვას რომელ პოეტს ჰქონია, რომ მას ჰქონოდა ალჩუზე დამჯდარი ბედი და იოლი გზა-სავალი.

დადის კარგი პოეტის – გიორგი წერეთლის ქვრივის ხვედრით, დადის ოთარაანთ ქვრივული შემართებით და გაუტეხლობით.

ამ წიგნით მისი ავტორი არა მარტო თავის კეთილ ნათელს ჰფენს სააშკარაოზე, ბედთან არშეგუების, გამაგრების, გაძელქვების მაგალითსაც აძლევს მკითხველს.

რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

სარჩევი

„პოეტი მაინც მარტოა...“ 7

მე და ჩემი თეთრი ცხენი.....9
რაღა დროის ლექსიაო... 10
ვაი, ნანა, წუთისოფელს.....10
სტუმარო.....11
მე ჩემს გზაზე ვდგავარ.....11
* * *... აიძულა ცხოვრებამ 11
* * * გზა-გზა ყოჩივარდებით.....12
* * * — გახსნილი გაქვთ ხელჩანთა 12
* * * გადი-გამოდის ისევ გუთანი 12
ღამე სიმღერით მალე თენდება 12
დილა ვენახში 13
* * *...შენ ალერსის ბურანში ხარ 13
...თქვენ, ჩაიჭერით საქართველოსთან!.....13
შეიფოთლა.....14
* * * ვწერ გაყინული ხელებით ლექსებს 14
ჯიხვი.....14
გაზაფხული 15
* * * მე არ მინდა!.....15
* * * ...არ ავყევი ქარობაში.....16
* * * არა! ჩემო ცირაგე.....16
* * *...ფრინველი გალობით საღამოს 16
ულექსოდ.....17
* * * მხოლოდ კარგი ამინდი.....17
* * * ...ია — ენძელებია! 17
რამ შემაკრთო?.....18
ჩემთვის რაც ღმერთს მოუცია 18
* * * ...კაცი მზაკვარი — მძულს!.....18
სად არი შენი დაფნარი?.....19
ხანდახან 19
არა 19
დამარცხებული - გამარჯვებული.....20
შინმოუსვლელო.....20

მაინც გაზაფხულია 20
სურათი 21
ყვავო 21
...მხოლოდ ღმერთი და ბუნება.....21
ჩემს საწერ მაგიდასთან.....21
მეორედ ყვავილობს ალუბალი.....22
გაზაფხულია 22
აკვანთან 23
მუხიანის მუხის სიო 23
სიყვარული რა არის და.....24
პოეტი მაინც მარტოა.....24
მაინც მოტყუვდა ყარყუმი.....25
გიტარავ, ჩემო ლამაზო მზითვო... 26
მიჭირს და... მაინც ჭირი ვინ გდია? 26
მუნასიბი 27
სამოცდაათი.....28
ძმობა-ერთობის დიდო კორიფევ!.. 29
იმედი.....30
ყვავილი არ იცვლის კაბებს.....31
თავის ეზოში გალობს ბულბული! 32
უწინდებურად რაც ამამღერებს.....32
გვედრებ, ღმერთო! 33
მოთმინების ძაფი.....34
ჩუმად, არ დაფრთხნენ, არ დაიყვირო... 34
შე უსამშობლოვ!.....35
ჩემს „იმიგრანტ“ ჩიტებს.....35
იმედის ჩიტი.....36
გამზეურება.....36
ბეწვის ხიდის ქვეშ მთვარე ბანაობს.....37
თუ...წაილებთ გჩუქნით... გატანთ... 37
მაკედონელს? ნაპოლეონს? 38
ციცინათელა 39
ჩემი საქართველო 39
შენ სილამაზეს ურხევ მარაოს.....40
ამას ჰქვია — დაღვინება? 42
არ წაიქცე ლექსო! 43
ჩემო დედისერთავ!.....44

ვარსკვლავს 46
კვლავ და კვლავ ამწვანება.....48
მიტოვებული წისქვილი მდინარე როშკაზე 49
ღამით შატილში 50
ცუდად გიჭირავს ადლი... 51
თანდაყოლილი სასჯელი.....51
თათი, ღრუბელო! — თათი.....52
იცოდე 52
სიმართლის ჯაჭვი მაცვია.....53
მუზა 53
მიიმღერის მეგრელი 54
გადავამტვრევ ამ კეტს 54
***ეს, არც ერთ ერს! 54
*** მე მიყვარს ღამით ურმის ჭრიალი.....55
*** როგორც წკნელი ისე მოჭრა 55
გსურს თუ არ გსურს — მაისია!.....55
ღვთის ჩიტი ამბობს 56

კოლხეთის ციცინათელები 57

ცხენისწყალი ზღვაში.....59
მარტვილის მონასტრის ეზოში მარადიული შეყოვნება ..59
რომ არ დამახრჩოს ცრემლებმა 59
ნაპოლეონის ნიღაბი ზუგდიდის მუზეუმში 60
ქუქითის ეკალ-ბარდს... 60
* * * არა, არ მავიწყდება.....60
მაშინ.....61
აფხაზეთს რა დამავიწყებს.....61
ბალდა — ჩემი დედულეთი.....62
მამის ძეგლი.....62
ეს, ყვავილი — ციცინოა, დედა! 63
ბიძაშვილებთან ისევ და... ისევ!.....64
დიდო მარტვილო — ჩემო მეუფევ!.....65
* * *...რამდენი მეფე ჰყავდა ამ მთა-ბარს 67
ჩემი ასაბია 67
* * * ყოველ შემოდგომაზე 68

ეპიტაფია 68
თბილისადმე... ტატომდე.....69
დედა 70
საუბარი ცხენისწყალთან 74
აჩადარა.....76
ჩემო ბიჭვინთავ! 76

მუხათწყარო — ლექსის ქოხი.....77

* * * ...სულ ჭიკჭიკით დაგზარდეთ.....79
* * * ...მიყურებ, როგორც პატიომნიკი!.....79
* * * ალაგ-ალაგ წითლად ფერდობს 79
...მესმის ...ახალ მონის გმინვა.....79
გულს მზეს ვუბურბუშელებ.....80
დევის წყარო.....80
ვაზის ფოთლის ოდენას... 81
პოეზიის ქედი 81
...ამ მინიატურულ ეზოს.....81
* * * აგერ თელა, მუხა 82
მუხათწყაროს ბაბილონში 82
* * * მიტრიალებს ქარი!.....83
პოეზიის კონცხი 83
ლექსის ქოხი.....83
დგას ასკილიც დიდი ხანძრით.....84
...შუბლზე დაკრული ტვიფრით... 85
...აქ, ასეთი სერობისთვის.....86
* * * ჩემი სიცოცხლის უღელტეხილი 86
მშვენიერი სული... 87
* * * ...თავს ვევლები... თავს მევლება.....87
* * * ისევე როგორც მოუხაროდა 87
* * * რაღა დროს ძილიაო.....87
* * * ო, ბუხარში ცეცხლი უფრო.....88
* * * ...არც ერთ მცნებაც არ ვარღვევ 88
* * * ...ჩემს შვილს მთვარე ნათელ ცაზე.....88
* * * დედა იყო პოეტი..... 88

შთამომავლობა 89

ჩემი შვილიშვილები 91
ორი ციცინათელა 91
მეკითხება მედეა 92
მე და შვილიშვილები ზღვაზე 93
ლიდა ბებოს ლიდიას 93
„ბედისკვერი"... რა არის და 94

ბალი დამწიფებულა 95

ტაში, ტაში 97
უკბილო 97
ფალავანი... 97
ფისო 97
ბალი დამწიფებულა 97
მშიშარა 98
ციყვების ოჯახი 98
ტყუპები 98
ყანაში 99
ჩამოვარდა — რკო 99
ტყეში დიდი მგელია 99
ბალ-წამალი ბალამწარა 99
ენძელა 100
ზღაპარლექსი 100
მძინარას თუთა 100
დათვი შვილიშვილებში 100
მფრინავი სათამაშო 101
ვეფერები ბოჩოლას 101
გამოგოდორდა 101
ხაჭაპურის სახლი 102
თოჯინას დაბადების დღე 102
ქართული ანბანი 103
ჩემს სამშობლო საქართველოს 103
ხაჭაპურიც ეგ არის! 104
მურიკელა 104

დედა-ენა 105
ბროლის ჩურჩხელები 105
ნელი და აბრეშუმის ჭია 105
ფისო მთვარეზე 106
ჰერი! ზღაპარს, ზღაპარსა! 106
თიკანი 106
წიგნი — ნახატებიანი 106
მოიცალა ტყემალი... 107
ბიძაშვილები 107
დათვი შვილიშვილებში 107
ზოოპარკის კარუსელზე 108
რვა მარტია, მაგრამ დედას არ სცალია 108
ვერ მიირთმევთ 109
მეფე, წმინდანი — დავითი!.. 110
მათბობელა ბუხარი 111
გაუმარჯოს გამარჯვებულ ბაბუებს და
ბებიებს! 112
დაჩის გასაჭირი 112
მზეს თქვენ უყვარხართ, ბავშვებო! 114
მზია კვირას დაეძებს 115
ავად გახდა ონკანი 116
ვენახის მაკრატელი 117
ახალი წლის თოვლი 117
თხილ-ნიგოზი ძმებია... 118
კვერცხი 118
სიყვარულის ბუდე 118
დიდედა 119
პიტნა 120
ძალას მმატებ, პაწიავ 120

...ইহা বাঙলার বিদ্যোৎসাহিনী সভার-সভ্যগণের, এবং অন্যান্য
স্বদেশীয় ভদ্রমহোদয়গণের
মধ্যে নানাবিধ স্বদেশহিতকর!

শ্রীরাম বসু